პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24
მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „კირადულს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ., ... ყოდა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

ოთხშაბათი, 2 სექტემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 200 (1355)

დღიური

— გერმანიის მუშათა დელეგაცია დაბრუნდა ბერლინში.

— მოსკოვში მოემგზავრება ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დელეგაცია.

— საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა ავსტრიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია.

— პინსკში (პოლონეთი) მოჰკლეს პროვოკატორი ტერტელბაუმი.

„კომუნისტი" გრძელდება ხელის მოწერა სექტემბრისათვის.

კოოპერაციის ერთი ამოცანათაგანი

ჩვენ ვლაპარაკობთ კოოპერაციის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაზე. ამას ბოლო ხანებში ნაკლები ყურადღება არ ეთმობოდა, რაც საგრძნობ ნაკლად უნდა ჩაეთვალოს ჩვენს კოოპერაციას.

მასსიური კოოპერატიული აგიტაცია-პროპაგანდა სუსტადაა დაყენებული. საერთაშორისო კოოპერატიულ დღეს თუ გადაიდგმება ამ მხრივ რაიმე პრაქტიკული ნაბიჯები, თორემ ყოველდღიური მუშაობა არ სწარმოებს. ერთდროული კამპანიის ჩატარება კოოპერაციის იდეების გასავრცელებლად მნიშვნელოვან შედეგებს ვერ მოგვცემს, აქ საჭიროა მუდმივი, სისტემატიური საქმიანობა, დაწვრილებით გამომუშავებული გეგმის მიხედვით. ეს მოვალეობა უმთავრესად უნდა იკისრონ პირველ ყოვლისა თვით კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა.

პარტიულ-საბჭოთა პრესაში ხშირად უნდა შუქდებოდეს კოოპერაციის საკითხები. ეს ასეც არის. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერატიულ ლიტერატურის და ჟურნალ-გაზეთების გამოცემას და მიწოდებას ფართო მასსებისათვის. ასეთები როგორც შინაარსით, ისე ენის მხრივ საინტერესო და სავსებით მისაწვდომი უნდა იყოს მასიური მკითხველისათვის. ოდნავადაც არ ითქმის ჩვენში არსებულ კოოპერატიულ გამომცემლობაზე. ჯერ ერთი—ძალიან ცოტა რამ კეთდება ამ დარგში და, მეორე, რაც კეთდება, იმასაც მრავალი ნაკლოვანებანი ახლავს თან. რო არ ვლაპარაკოთ კოოპერატიულ წიგნაკებზე, ერთად ერთ კოოპერატიულ ჟურნალს, რომელიც გამოდის საქართველოში, რაღაც უფერულობის ბეჭედი აზის. ეს ცალიერი ადგილი, რომელიც არსებობს კოოპერატიულ გამომცემლობის დარგში, უნდა ამოივსოს, ცოცხალი, ჩვენი სინამდვილის ამომხატველ მასალით.

ჩვენ დიდ ნაკლებობას განვიცდით მომზადებულ კოოპერატიულ მუშაკებში. ის მოკლე ვადიანი კოოპერატიული კურსები, რომელნიც დროგამოშვებით იხსნება ჩვენში, მხოლოდ ნაწილობრივ შველის საქმეს. საჭიროა კოოპერატიულ მუშაკების კადრის სერიოზული მომზადება, მუშათა და გლეხთა ფენებიდან, მშრომელ ქალებიდან, მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობიდან. ამისათვის უნდა ეწყობოდეს საკმაოდ გრძელვადიანი კურსები სერიოზული პროგრამით. შესაბამისი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კოოპერატიულ განათლების საქმის დაყენებას ჩვენს სკოლებში.

კოოპერაციამ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა უნდა აწარმოოს გლეხურ მოსახლეობაში. კერძოდ ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაკუთნებთ წიგნებით და საერთოდ სასწავლო ნივთებით ვაჭრობის მოწყობას კოოპერატივების მიერ. ჩვენი სოფელი წიგნის სიმშილს განიცდის. საგლეხო ლიტერატურას იშვიათად სადმე თუ წააწყდებით. გლეხს ხშირად უხდება წასვლა ქალაქში, რომ ბავშვს სახელმძღვანელოები, რვეული და საწერ-კალამი უყიდოს. სოფლის კოოპერატივმა უნდა მოკიდოს ხელი ამ საქმეს. შეიძლება სთქვან, რომ ეს მოგებას არ მოგვცემსო. ასეთი მოსაზრება მიუღებელია. კოოპერაცია ხომ ჩვეულებრივი კომერციული დაწესებულება არ არის. ისიც კარგია, თუ წიგნის ვაჭრობით მას ზარალი არ მოუვა. ამით ის ხალხს ემსახურება, მის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მოსახლეობის კულტურულ დონეს სწევს ზევით. ხალხი ამას დააფასებს და ეს კოოპერაციის დიდ „მოგებად" ჩაეთვლება. მაგრამ კარგად დაყენებული ვაჭრობა წიგნებით და სასწავლო საგნებით მცირე სარგებელსაც დაუტოვებს კოოპერატივს. დღევანდელი მდგომარეობა კი არაფერს გავს, როცა სოფლად კოოპერატივს ბევრი რამ ისეთი მოეპოვება, რაც ნაკლებად ესაჭიროება გლეხობას, ხოლო პოპულიარული წიგნაკები და ბროშურები, სასკოლო წიგნები, რვეული, ფანქარი, მელანი თუ ცარცი არ გააჩნია. ყველა ამის გავრცელება უნდა მოეწყოს უმთავრესად კოოპერაციის საშუალებით. ეს დიდი კულტურული საქმეა.

კოოპერაციამ უნდა შეიტანოს თავისი წვლილი იმ მუშაობაში, რომელსაც პოლიტგანმანათლებელი დაწესებულებები ეწევიან სოფლად,—იქნება ეს ქოხ-სამკითხველოების და სახალხო სახლების მოწყობა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია თუ სხვა რამ. კოოპერაცია ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და მას კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის საწარმოებლად იძულებით ვერავინ ვერაფერს გადაახდევინებს. მხოლოდ შეძლებლობის ფარგლებში მან ხელი უნდა გაუწოდოს პროფკავშირებს, პოლიტგანმანათლებელ განყოფილებას, წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოებებს ამ საქმეში. ეს მისი საზოგადოებრივი მოვალეობაა.

თავის თავად ცხადია, რომ ამაზე გაწეულმა ხარჯებმა არამც და არამც არ უნდა გამოიწვიოს საქონლის გაძვირება. ეს უნდა ხდებოდეს ნორმალურ მოგებიდან და მომჭირნეობის ნიადაგზე.

დღეს მკითხველი გაეცნობა რ. კ. პ. ცკას დადგენილებას კოოპერაციის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ. მასში ჩამოთვლილია ის ამოცანები, რომელნიც დგანან კოოპერაციის წინაშე ხსენებულ დარგში. ჩვენმა კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა კარგად უნდა შეითვისონ ამ დადგენილების აზრი და ამის მიხედვით წარმართონ თავისი საქმიანობა.

რა თქმა უნდა კოოპერაციას დღეს უაღრესად მნიშვნელოვანი საქმე აწევს —იაფი საქონლის მიწოდება გლეხობისათვის, უკანასკნელის ნაწარმოებების გასაღება, აგრიკულტურის გავრცელება და სხ. ამასთან ვიცით, რომ ჩვენი კოოპერაცია ჯერ კიდევ ღარიბია. მაგრამ ის ადგია მოღონიერების გზას და მის ამოცანის ერთ ნაწილს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობაც უნდა შეადგენდეს. ესეც დიდი მნიშვნელობის საქმეა, —როგორც თავისთავად, ისე იმ მხრივაც, რომ იგი გაზრდის მოსახლეობის ინტერესს და სიმპატიას კოოპერაციისადმი.

ტყე სოფელს

ჩვენი ქვეყნის ერთ მთავარ ბუნებრივ სიმდიდრეს ტყეები წარმოადგენს. ძვირფასი ჯიშის მრავალფეროვანობით, განსაკუთრებული ხარისხით და დაუშრეტელ სიუხვით საქართველოს ტყეებს თვალსაჩინო ადგილი უკავია საერთო საკავშირო ფონდში.

მაგრამ რამდენადაც მდიდარია ჩვენი მხარე ტყეებით, რამდენადაც დიდია მისი ეკონომიური მნიშვნელობა ქვეყნის მრეწველობის განვითარების საქმეში, იმდენათ მაღლა ვერ დგას ამ ტყით სარგებლობის, მისი ექსპლოატაციის საქმე. ჩვენ ხშირათ ვჩივით საკუთარ აგრონომიულ უკულტურობაზე, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობაზე. ამავე დროს ბევრათ უფრო უმწეო მდგომარეობაშია ჩვენი ტყეების მოვლა-პატრონობის, მათი მიზანშეწონილათ გამოყენების საქმე.

საქართველოს ტყეები ჯერ კიდევ შეუსწავლელია, ჩვენ თვითონ არ ვიცით რა სიმდიდრის და ავლა-დიდების პატრონია ჩვენი მწვანე ქოჩრიანი მთა-გორები. რევოლიუციამ ბოლო მოუღო კერძო მფლობელობას ტყეებზე და იმ ანარქიას, რომელიც სუფევდა წინათ მას გამოყენების საქმეში, როცა თვითეული მესაკუთრე ისე განაგებდა ტყეებს, როგორც ეს მის პირად ინტერესებს მოუხდებოდა.

მაგრამ მეორე მხრივ იმ აპარატით და შესაძლებლობით, რომელიც სახელმწიფოს გააჩნდა, მას ბუნებრივათ არ შეეძლო თავიდანვე გარკვეულ ფარგლებში ჩაეყენებინა ნაციონალიზაციაქმნილ ვეებერთელა ტყის ფონდის ექსპლოატაციის საქმე. ამ ნიადაგზე ბევრ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

იშვიათია სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ისეთი დარგი, როგორც ტყის მოვლა-პატრონობა. აქ ხელისუფლების საკონტროლო ორგანოებს ყველაზე ნაკლებ უწვდება ხელი. ერთი მხრივ ის უმწეო ნივთიერი მდგომარეობა, რომელშიაც ტყის მომუშავეები იმყოფებიან და მეორე მხრივ ცენტრის ყურსა და თვალისაგან დაშორება, ბოროტმოქმედებების ფართე ასპარეზს ჰქმნიან ტყის მეურნეობის საქმეში.

აშკარა ბოროტმოქმედებასაც რომ თავი დავანებოთ, აქ ხშირათ ადგილი ჰქონდა და დღესაც აქვს ბიუროკრატიზმს, საქმისადმი ფორმალურ, უსულო მიდგომას, რაიც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს სოფლის ღარიბ მოსახლეობაში.

იმ დროს, როდესაც გლეხს წინ ეღობება ტყის მცველი და ფარჩხს ან ვენახის დასასობ სარსაც არ ანებებს, ტყეებში ხშირათ ადგილი აქვს ნებადართულ ექსპლოატაციას, რომელსაც ის განადგურებამდე მიჰყავს. სოფლიდან მოსული აუარება კორესპონდენციები ერთხმათ სჩივიან ამ ნაკლზე. გლეხს გული შესტკივა, გული ეწვის, როცა უთავბოლოთ და უანგარიშოთ იჩეხება „შვილივით ნაზარდი ტყე", როგორც ერთი კორესპონდენტი იწერება.

ამ შემთხვევაში რუსეთის კომპარტიის ცკას დადგენილება ტყის მეურნეობის მოწესრიგების შესახებ უაღრესათ მნიშვნელოვანი და დროული ნაბიჯია გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობებისათვის და ტყის მოვლა-პატრონობის საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად.

ამ დადგენილების ძალით ტყეების საგრძნობი ნაწილი, რომლებსაც ადგილობრივი და არა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს დაუყოვნებლივ უნდა გადავიდეს გლეხობის მფლობელობაში. ჩვენი ქვეყანა ცნობილია მიწის სიღარიბით. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები, ისეთი რაოდენობით, როგორც ეს სხვაგან მოიპოვება, ჩვენში აღარ არის. ის უმთავრესად ყანებმა შესჭამა, სოფლის ახლო-მახლო და მოსახლეობის დასამხარ ადგილზე მდებარე ტყეები ბევრ შემთხვევაში გაჩეხილი და გადამწვარია, მაგრამ ის რაც არის, კიდევ დიდ სარგებლობას წარმოადგენს გლეხობისათვის.

პირველ რიგში უნდა დაუბრუნდეს გლეხებს ყოფილი მისი ტყეები, რომლებიც დღეს სახელმწიფო ფონდშია მოქცეული. ყოველივე გაუგებრობის და საქმის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად ცკას დადგენილებით განსაზღვრულია ის ვადაც, რომლის განმავლობაშიაც უნდა მოხდეს ამ ტყეების დაბრუნება. ესაა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი.

გარდა ამისა გლეხებს უბრუნდება მემამულეთა, კერძო პირთა და ეკლესიების საკუთრებაში ყოფილი ტყეები, რომლებიც მჭიდროთ არიან დაკავშირებული სოფლის მეურნეობის ნორმალურ განვითარებასთან. ამ ტყეების გადაცემა უნდა დამთავრდეს მომავალი წლის პირველ იანვრამდე.

ამრიგად პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს მიერ უკვე გამოთქმულია გარკვეული აზრი ტყის მოვლა-პატრონობის ახალ წესების შესახებ. რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის. ეჭვს გარეშეა, რომ ეს დადგენილება გატარებული იქნება ცხოვრებაში.

მაგრამ მეორე მხრივ ცკას დადგენილება მიზნათ ისახავს ტყის დაუცველობის, მის მოუვლელობის ბოლოს მოღებას. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გლეხებზე გადაცემა ნაწილობრივად ცკას დადგენილებამდეაც სწარმოებდა. მან ერთი უარყოფითი შედეგი მოიტანა ეს ის, რომ ხე-ტყით დამშეული, განმეორებით ჩამორთმევით შეშინებული გლეხობა ტყის დაუზოგველ ხარჯს შეუდგა. ბევრ ადგილას უმოწყალოთ გაიჩეხა მდიდარი და ტანმოსული ტყეები.

ეს სენი ყოველთვის თან სდევს ტყის წვრილ საკუთრებას. ცკას დადგენილება არამც და არამც არ შეიძლება გაგებულ იქნას ამ აზრით, პირიქით ახალი ტყეები, რომლებიც შევა ამ დადგენილების თანახმად სოფლების მფლობელობაში, განსაკუთრებულ მზრუნველობას და პატრონობას საჭიროებს.

ყველამ კარგათ იცის რამდენი უბედურება მოაქვს სოფლისათვის გატიტვლებულ და გაძარცულ მთა-გორებს. გვალვა, წყალდიდობა, ქარი, მეწყერი და სხვა სოფლის გამანადგურებელი მოვლენების ხელის შემწყობი სწორედ გატიალებული და უმცენარო მიდამოებია.

აქ, რა თქმა უნდა, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ტყეების უთავბოლო განადგურება, სამერმისოდ ხელიდან აცლის სოფელს საამშენებლო და სათბობ მასალის მარაგს და ოქროს კვერცხის მდებ დედლის ერთბაშად დაკვლას დაედარება,

რომ სავსებით გამოყენებულ იქნას ის დადებითი შედეგები, რომელსაც იძლევა პარტიის დადგენილება, სოფლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა და მოწინავე გლეხობამ ამოცანათ უნდა დაისახონ ტყის ძირითად კაპიტალის დაცვა, მთების ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა.

ბ.

აღმოსავლეთის ერები იმპერიალისტებთან ბრძოლაში

პეკინის მთავრობა მხარს უჭერს კანტონს ინგლისელების წინააღმდეგ

სირიაში აჯანყებულები განაგრძობენ შეტევას.—ფრანგებმა შესწყვიტეს მოლაპარაკება დრუზებთან

ოსმალური გაზეთების ცნობით აჯანყებულმა დრუზებმა დამასკი აიღეს.

აბდ-ელ-ქერიმი ემზადება შეტევისათვის ფრანგების და ესპანელების წინააღმდეგ.

ბრძოლა ჩინეთში

უცხოეთთან ურთიერთობის კომიტეტში

პეკინი, 31 აგვისტო. ადგილობრივი ჩინური გაზეთი „ჩიჩი-ვან-ბაო" იტყობინება, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროსთან არსებულ უცხოეთთან ურთიერთობის კომიტეტში ირჩეოდა კანტონის საკითხი. თათბირს დაესწრო კომიტეტის 13 წევრი, მათ შორის გარეშე საქმეთა მინისტრი ჩენ-ჩჟუ-ლინიც. თათბირი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, როგორც სჩანს, გადასწყვიტეს „დაიტოვონ მოქმედების თავისუფლება შამინში მომხდარ ამბების გარშემო. თათბირმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე ჰონკონგის მოთხოვნილებას ინგლისის მთავრობისადმი კანტონის ძალით დამორჩილების შესახებ.

თათბირმა დაადგინა ეთხოვოს მთავრობას პროტესტი განუცხადოს ინგლისის მისიას. ამავე დროს თათბირმა განაცხადა, რომ მიუხედავად ზოგიერთი უთანხმოებისა პეკინის და კანტონის მთავრობებს შორის, რომელიც შეეხება მხოლოდ შინაური პოლიტიკის საკითხებს, ჩინეთის ჩრდილოეთი და სამხრეთი გაერთიანებულია საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

ჰონკონგის მოთხოვნილების გამო, კომიტეტი წინადადებას აძლევს მთავრობას მიიღოს საწინააღმდეგო ზომები.

მოლაპარაკების წარმოება ამ საკითხების შესახებ კომიტეტმა დაავალა გარეშე საქმეთა მინისტრს და კომიტეტის თავმჯდომარეს, რომლებიც გაგზავნილი იქნებიან მთავრობის მეთაურთან დუან-ცზი-ჩჟუისთან.

ჩინეთის კომპარტიის ცეკას მოწოდება.

პეკინი, 31 აგვისტო. ჩინეთის კომპარტიის ცკამ გამოაქვეყნა მიმართვა ჩინეთის მუშებისადმი გაერთიანდენ კომპარტიასა და ახალგ. კომკავშირის გარშემო.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა თანდათან ძლიერდება, ბევრ ადგილას მუშები ჯერ კიდევ არ გასულან ბრძოლაში. რევოლიუციონური ენერგია იზრდება. ბრძოლისათვის საჭიროა პოლიტიკურ პარტიის ხელმძღვანელობა და ასეთ ხელმძღვანელობას გაუწევს ჩინეთის პროლეტარიატს ჩინეთის კომპარტია, რომელიც დარწმუნებულია, რომ მუშებსა და გლეხებს შორის მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს ჩინეთის ხალხის გამარჯვებას.

გაფიცვის დამთავრება.

პეკინი, 31 აგვისტო. ჩინეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელიც ადასტურებს ხელშეკრულების დადებას იაპონელ საფეიქრო მრეწველებსა და მუშებს შორის; ამ ხელშეკრულების დადებით გაფიცვა იაპონიის საფეიქრო წარმოებებში შანხაიში დამთავრებულათ უნდა ჩაითვალოს.

შანხაის მბეჭდავთა გაფიცვა

პეკინი, 31 აგვისტო. მბეჭდავთა გაფიცვა შანხაიში დამთავრდა მუშების გამარჯვებით. კავშირები აღიარებულია მუშების ლეგალურ წარმომადგენლებათ, შრომის ხელფასი გადიდებულია, შემოღებული იქნება რვა საათის სამუშაო დღე, მუშათა საავადმყოფოს ფონდში შეტანილი იქნება 10 ათასი დოლარი, ქალები ორსულობის დროს მიიღებენ ორი თვის შვებულებას.

ასეთივე მოთხოვნილებები წამოაყენეს ეხლა სხვა სტამბების მუშებმაც. რკინისგზელებიც აგრეთვე იხილავენ საკითხს მოთხოვნილებების წარდგენის შესახებ,

„გავლენის სფერო"

პეკინი, 31 აგვისტო. ჩინეთის მთავრობამ ახალ თანამდებობებზე დანიშნა მთელი რიგი გენერლებ. სახალხო არმიების კონტროლის ქვეშ დატოვებული რაიონი შეიცავს ჩრდილოეთ-დასავლეთ ჩინეთს, მეორეს მხრივ დაკანონებულია ჩან-ცზო-ლინის კონტროლი შანხაის რაიონზე და რამოდენიმე პროვინციის ზღვის სანაპირო ხაზზე.

აჯანყება სირიაში

იმპერიალისტები გარბიან

სტამბოლი, 3 აგვისტო. დრუზების აჯანყებამ დიდი მღელვარება გამოიწვია სირიაში. დამასკს სტოვებენ ფრანგები. ალექსანდრეტტსა და ლივანაში შედგენილია სეპარატისტული კომიტეტი ალექსანდრეტტის რაიონის დამოუკიდებლობის გამოცხადების მიზნით. დრუზებმა წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნილებანი: პრეზიდენტის თავისუფალი არჩევა, პოლიტიკური ამნისტია, პარლამენტარული წყობილების შემოღება. ვაჰაბიტები დრუზებს უერთდებიან.

არაბები უერთდებიან დრუზებს

ლონდონი, 31 აგვისტო. ბაღდადიდან მიღებული ცნობების თანახმად, დამასკის რაიონის მცხოვრები არაბები უერთდებიან დრუზების აჯანყებას.

აჯანყებულებმა დამასკი აიღეს

ანგორა, 31 აგვისტო. ოსმალეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ მიღებული ცნობების თანახმად, დრუზებმა დაიკავეს დამასკი. ფრანგებმა ბრძოლის დროს, თითქოს, დაკარგეს 4000 კაცი და უკან იხევენ.

მიუხედავად იმისა, შეეფერება თუ არა ეს ცნობა სინამდვილეს უნდა აღინიშნოს, რომ ბრძოლა სულ უფრო და უფრო მწვავდება და დიდათ დაზარალდენ ფრანგები.

ოსმალეთის რეაქციონერებმა, რომლებიც გადახვეწილი არიან საბერძნეთში, მიმართეს საფრანგეთის მისიას ათინაში და განუცხადეს, რომ ისინი მზად არიან ჩაეწერონ მოხალისეებად და იბრძოლონ დრუზების წინააღმდეგ. საფრანგეთის მისია დასთანხმდა ამ წინადადებაზე.

საზავო მოლაპარაკება დრუზებთან შეწყვეტილია

ლონდონი, 31 აგვისტო. დამასკიდან მიღებული ცნობებით საზავო მოლაპარაკება საბოლოოთ შეწყვეტილია.

უკანასკნელ ხანებში დრუზებს იერიშები მიაქვთ დამასკის წინააღმდეგ. დამასკში პანიკა ძლიერდება. ხმების თანახმად დრუზები 4 მილით მიუახლოვდენ დამასკს.

ფრანგების წინააღმდეგ აგიტაცია ვრცელდება მთელ სირიაში.

ომი მაროკოში

ფრონტზე

პარიზი, 31 აგვისტო. როგორც ჰავასის სააგენტოს აცნობებენ ფეციდან, ბრანების ტომები მორჩილებას აცხადებენ, მოწინააღმდეგე ღამით თავს დაესხა ტსულების ტომს, რომელმაც ამას წინად მორჩილება განაცხადა. იქ გაგზავნეს მაროკოს ცხენოსანი რაზმები წესრიგის დასაცავად. დანარჩენ რაიონებში სიწყნარეა.

აბდ-ელ-ქერიმი მოუწოდებს ისლამის დაცვისა და საომარ სამზადისის გაძლიერებისაკენ.

პარიზი, 31 აგვისტო. ფრანგების უკანასკნელ გამარჯვების გამო, აბდ-ელ-ქერიმმა გააძლიერა პროპაგანდა. ის მოუწოდებს ხალხს ისლამის დაცვისა და საომარ სამზადისის გაძლიერებისაკენ.

აბდ-ელ-ქერიმმა ამ დღეებში შეადგინა რიფების კავალერიის პირველი რაზმები მეტალოს და ბენი-ამერეტის ტომებისაგან.

აბდ-ელ-ქერიმის ძმა 4000 კაცისაგან შემდგარი რაზმით უნდა ჩავიდეს ოტლბანის და ფიფანის რაიონში.

ჯებალის ტომის მეთაურმა კერირომ, როგორც იტყობინებიან, მიიღო სამხედრო მასალები აქდირიდან ზღვით.

უკანასკნელმა დამარცხებამ და რიფების საგრძნობლად დაზარალებამ ცუდი გავლენა მოახდინა მათ მხარეზე გადასულ ტომებზე. ამ მხრივ განსაკუთრებული გავლენა იქონია ორი გამოჩენილი შეიხის მოკვლამ ამსექტთან.

გერმანიის მუშათა დელეგაცია

დაბრუნდა ბერლინში

დელეგაცია მხარს უჭერს საბჭოთა სისტემას

ბერლინი, 31 აგვ. 29 აგვისტოს დილით შტეტინში ჩავიდა გემი „სოვეტ", რომლითაც დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან გერმანიის მუშათა დელეგაცია.

მიუხედავად იმისა, რომ დელეგაციის დაბრუნება ერთი დღით ადრე მოხდა, მაინც დიდძალი ხალხი შეხვდა მას ოვაციებით. დელეგაციას მიესალმენ კომპარტიის შტეტინის კომიტეტის, მეზღვაურთა კავშირის და სხვა პროფკავშირების წარმომადგენლები.

როგორც კი დელეგატები გადმოვიდენ გემიდან, მათ ყოველმხრიდან გარსშემოერტყა ხალხი და დაუწყო კითხვა, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში.

შეკითხვას იძლეოდენ პოლიციელებიც, რომლებსაც აინტერესებდათ თუ როგორი პირობებია წითელ არმიაში.

ყველა დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი ყოველგვარ პირობებს გარეშე სცნობენ საბჭოთა სისტემას და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო წყობილების უპირატესობას. თვითეული დელეგატი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებებისა, საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა, ქვეყანა ვითარდება, მრეწველობა სწრაფად იზრდება.

„გაუმარჯოს მოსკოვს"

ბერლინი, 31 აგვ. საღამოს დელეგაცია ჩავიდა ბერლინში. მთელი სადგური გაჭედილი იყო მუშებით და მუშა-ქალებით, რომლებიც გამოსულიყვნენ წითელი დროშებით დაბრუნებულ ამხანაგების შესახვედრად. ამავე დროს სადგურთან თავი მოეყარათ შეიარაღებულ პოლიციელების გაძლიერებულ რაზმებს. მოედანზე სადგურის წინ ჩამწკრივებული იყვნენ ყოფილ ჯარისკაცთა წითელი კავშირის წევრები.

როგორც კი დელეგატები გამოვიდენ რონოლებიდან, გაისმა ხმები: „გაუმარჯოს მოსკოვს" დელეგატებს ესროდენ ყვავილებს, პოლიცია ვერ ახერხებდა ხალხის უკან დახევას.

დელეგატებმა წარმოსთქვეს მოკლე მისასალმებელი სიტყვები და შემდეგ ყოფილ ჯარისკაცების წითელი კავშირის წევრების თანხლებით გაემართენ თავ-თავის ბინებისაკენ.

ქალაქში გავლის დროს დელეგატები გამოსთქვამენ აღტაცებას საბჭოთა კავშირის მოვლის გამო. გაფრთხილებაზე—„თქვენი ბელადები გამოგრიცხავენ თქვენ პარტიიდან", დელეგატებმა უპასუხეს: „ამის წინააღმდეგ ჩვენ უძლური ვართ, მაგრამ მაინც ჩვენ სიმართლე უნდა ვსთქვათ".

შტრეზემანის განცხადება

ბერლინი, 31 აგვისტო. უცხოეთში მცხოვრებ გერმანელების ნაციონალური კავშირის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა გარეშე საქმეთა მინისტრმა შტრეზემანმა, რომელიც შეეხო გერმანიის ბრძოლას სხვა სახელმწიფოებს შორის თანასწორობის მოპოვებისათვის.

„მიუხედავად ყველა დაბრკოლებებისა—განაცხადა შტრეზემანმა—გერმანია მაინც წინ მიდის. ამ დღეებში დაცლილ იქნა გერმანიის დაკავებული ტერიტორია. შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ გერმანიაში დავდგებით საკუთარ ფეხზე, როგორც თავისუფალი ხალხი".

ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

კონფერენცია პარიზში

პარიზი, 31 აგვისტო. შესდგა ნაციონალური კონფერენცია პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხზე. კონფერენციას ესწრება 56 დელეგატი ავტონომიური პროფკავშირებიდან და იმ პროფკავშირებიდან, რომლებიც ემხრობიან შრომის საერთაშორისო კონფედერაციას, 50 დელეგატი—უნიტარული პროფკავშირებიდან და 4 დელეგატი—მთლიანობის შერეული კომიტეტებიდან.

ორატორები, რომლებიც სხვადასხვა მიმდინარეობას წარმოადგენენ, მოითხოვენ პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენას ბურჟუაზიასთან ბრძოლის მიზნით.

ბელგიის პროფკავშირების წარმომადგენელი ლიბერი ამტკიცებდა პროფმოძრაობის მთლიანობის აუცილებლობას, როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო მასშტაბით. „კაპიტალიზმის შეტევას წინააღმდეგობას გაუწევს მხოლოდ პროლეტარიატი, რომელიც გაერთიანებული იქნება მუშათა მოძრაობის ისეთი ცენტრის გარშემო, როგორიც არის საბჭოთა კავშირი"—სთქვა მან.

ტრენი და მონმუსო ხაზს უსვამენ შრომის უნიტარული კონფედერაციის მისწრაფებას მიაღწიოს პროფმოძრაობის მთლიანობას.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მთლიანობის აღდგენას პროფკავშირების ავტონომიის საფუძველზე და ყველა მიმდინარეობათა თავისუფლების დაცვას.

მთლიანობის წინააღმდეგ

პარიზი, 31 აგვისტო. საფრანგეთის შრომის საერთაშორისო კონფედერაციის ყრილობამ უარყო წინადადება მუშათა დელეგაციის გაგზავნის შესახებ საბჭოთა კავშირში და დაადგინა მონაწილეობა არ მიიღოს მთლიანობის საკითხის განსახილველათ მოწვეულ კონფერენციაში.

რევოლიუციონური გზით

ინგლისის პროფკავშირების მემარცხენე ფრთის ყრილობაზე

ლონდონი, 31 აგვისტო. ინგლისის პროფმოძრაობის უმცირესობის ყრილობაზე, რომელიც გაიხსნა ბატერსში (ლონდონის მახლობლად) ესწრება 500 დელეგატი—750.000 დარაზმულ მუშათა წარმომადგენლები.

ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: ხელფასის გადიდება, მაღაროების რკინის გზების, მანქანების საამშენებლო მრეწველობის მთავარ დარგების, გემების აღმშენებლობის და ბანკების ნაციონალიზაცია,, მიწების ნაციონალიზაცია გამოუსყიდავათ, მრეწველობაზე მუშათა კონტროლის დაწესება, ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ, ვერსალის ხელშეკრულების გაუქმება, მაკდონალდის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულების დამტკიცება, საბჭოთა კავშირისათვის სავაჭრო შეღავათების მინიჭება, ტრედიუნიონების წარმომადგენლის დანიშვნა ინგლისის ელჩათ საბჭოთა კავშირში, კოლონიალურ ხალხთათვის დახმარების გაწევა ინგლისის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს მუშათა კლასს შეადგინოს მუშათა თავდაცვის სამხედრო ორგანიზაციები.

ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დელეგაცია

ლონდონი, 31 აგვისტო. 1 სექტემბერს ლონდონიდან მოსკოვში მიემგზავრება ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დელეგაცია. დელეგაციის მიზანია ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარება.

დელეგაციის შემადგენლობა: თავმჯდომარე—**ფოლხედი**, წევრები—**ტეელორი, აარდი, ჯონს ხოლდე, გრენფელდი**, დელეგაციის მდივანი—**კლუტსი**.

დელეგაცია გაივლის ბერლინზე და რიგაზე და ჩავა მოსკოვში დაახლოვებით 7 სექტემბერს. დელეგაციის მოგზაურობა გაგრძელდება 4—6 კვირამდე.

საბჭოთა კავშირის ფეიქართა დელეგაცია

ლონდონი, 31 აგვ. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის ფეიქართა დელეგაციის თავმჯდომარემ ერემინმა განაცხადა: „წინააღმდეგ გაზეთების ცნობებისა, ჩვენ მიერ წარდგენილ წინადადებებს სრულიადაც არ სთვლიან ფანტასტიურად ლანკაშირის ფირმები, რაც სჩანს იქიდან, რომ ლანკაშირის რაიონის ცნობილმა ფაბრიკანტებმა მიიღეს ჩვენი შეკვეთები. ჩვენ მივემგზავრებით გერმანიაში, სადაც ზოგიერთი ფირმები გვაძლევენ კრედიტებს ჩვენთვის ხელსაყრელ პირობებში".

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო საზოგადოება

ვარშავა, 31 აგვისტო. პოლონეთის მრეწველობის წარმომადგენელმა ლემპიცკიმ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო საზოგადოების დაარსების მთავარ მოტივათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ პოლონეთის მრეწველობა პოლონეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც წინეთ რუსეთის იმპერიაში შედიოდა, შეფარდებული იყო რუსეთის ბაზართან და ასეთად დარჩა აქამდი.

ოსმალეთი

უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლები ანგორაში

ანგორა, 31 აგვისტო. საფრანგეთის ელჩმა სარომ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მთელს ზამთარს გაატარებს ანგორაში.

მთავრობის წრეებში ასეთსავე განცხადებებს მოელიან ინგლისის, იტალიის და სპარსეთის ელჩებისაგან.

ოსმალეთის ოფიციალური ცნობა

ანგორა, 31 აგვისტო. გამოქვეყნდა ოსმალეთის შემდეგი ოფიციალური ცნობა: „500 კაცისაგან შემდგარმა ბანდამ, რომელიც გამოჩნდა რევანდუზის მხრიდან, 4 აგვისტოს გადალახა სადემარკაციო ხაზი და თავს დაესხა ჩვენს სანაპირო პოსტებს შატოფანის რაიონში და ხეკიორის ვილაიეთში. ახალი ძალების მიღების შემდეგ ჩვენმა მოწინავე პოსტებმა გარეკეს თავდამსხმელები და დიდი ზარალი მიაყენეს მათ. მთავრობა მიაქცევს ერთა ლიგის ყურადღებას ამ ინციდენტზე".

ოსმალეთის საზღვარზე მომხდარ ინციდენტის გამო

ანგორა, 31 აგვისტო. გაზეთები იტყობინებიან ოსმალეთის საზღვარზე მომხდარ ინციდენტის შესახებ. აისორების, ქურთების და რეგულიარულ ნაწილების ჯარისკაცებისაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი ჯგუფები ახდენენ თავდასხმებს ოსმალეთის საზღვარზე.

გაზეთები ადასტურებენ, რომ ოსმალეთის მთავრობა პროტესტს განაცხადებს ერთა ლიგაში ინგლისის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს კვლავ დააყენოს ოსმალეთი მისი ტერიტორიის დაკავების ფაქტის წინაშე.

მთავრობამ მიიღო ზომები საზღვრების დაცვის გასაძლიერებლად.

გეიდემანის დახვრეტა

რეველი, 31 აგვისტო. იურიევის პროცესზე გეიდემანს მიესაჯა სიკვდილით დასჯა. გეიდემანი დახვრეტილი იქნა.

განაჩენი დაამტკიცა ესტონეთის მთავრობამ, რომელშიაც შედიან სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები.

საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობა

ჩვენ ვიზრდებით და ვღონიერდებით

ამხ. ტროცკის სიტყვა

„ზაპოროჟიეს“ ქალაქის პლენუმის სხდომაზე

ზაპოროჟიე, 1 სექტ. ტროცკიმ წარმოსთქვა სიტყვა ზაპოროჟიეს ქალაქის საბჭოს გაფართოებულ პლენუმზე ზაპოროჟიეს ყველა მშრომელთა თანადასწრებით. სხდომა გაიმართა ცის ქვეშ. დაესწრო 15.000 კაცამდე.

„უკვე ეს მეორედაა რევოლიუციის განმავლობაში,—სთქვა ტროცკიმ,—მე ვნახულობ ზაპოროჟიეს“.

პირველათ მე ვინახულე იგი სამოქალაქო ომის დროს, როდესაც აქ თარეშობდა მახნო; როდესაც ადამიანთა შრომით დაგროვებული სიმდიდრე დაუზოგავათ იფლანგებოდა და ინგრეოდა.

ამ 4 წლის განმავლობაში შეიძლება გავზომოთ მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის მიერ განვლილი გზა.

ის ფაქტი, რომ ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ საკითხი „დნეპროსტროის“ შესახებ, უკვე გვიმტკიცებს, რომ 1921 წლის შემდეგ ჩვენ გავიარეთ დიდი გზა. თუ მივმართავთ ციფრებს, ჩვენ დავინახავთ ფრიად სასიხარულო მოვლენას.

ავიღოთ სასოფლო მეურნეობის დარგი. ჩვენი მოსავალი წელს გამოიხატება 4100 მილიონ ფუთში. ამავე დროს გასულ 3 წლის განმავლობაში იგი 3 მილიარდამდისაც კი ვერ აღწევდა.

მრეწველობაშიაც ჩვენ ვხედავთ მანუგეშებელ ციფრებს. 4 წლის წინად მრეწველობა ძლივ-ძლივობით გვაძლევდა ერთ მეხუთედს იმისას, რის მოცემაც მას შეეძლო. ეხლა იგი უდრის ომის წინა დროის დონის 72 პროცენტს.

8 წელიწადი ხალხის ცხოვრებაში ეს ერთი წამია. ამ 8 წლის განმავლობაში მშრომელებმა იმდენი რამეები გადაიტანეს, რომ მათ შეუძლიათ დაეკითხონ თავს, შესცდა თუ არა მუშათა კლასი, როდესაც 1916 წლის ოქტომბერში ხელიდან გამოგლიჯა ძალა-უფლება ძველ ბატონებს, შეცდომა იყო თუ არა ოქტომბერი, მოგვცემს თუ არა ოქტომბერი იმას, რასაც ჩვენ მისგან მოველოდით, რისთვისაც ვიბრძოდით.

სასოფლო მეურნეობა.

ბურჟუაზიული გაზეთები აღნიშნავენ, რომ ჩვენ ვანადგურებთ კულტურულ განძეს, რომ მხოლოდ ერთი გლეხური მეურნეობის ნიადაგზე რუსეთი უკან მიდის. მაგრამ რას გვიმტკიცებს მიმდინარე წლის მოსავალი, რომელმაც გადააჭარბა 1913 წლის მოსავალს. ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხურმა მეურნეობამ, მემამულეების გარეშე, მიაღწია ომის წინა დროის დონეს.

ჩვენი პური საზღვარ-გარეთ.

საზღვარ-გარეთ გატანილი საბჭოთა პური უნდა სჭამოს უცხოეთის ბურჟუამ. საბჭოთა კავშირის ხორბლისაგან დამზადებული თეთრი პური მის მაგიდაზე ყველაზე უკეთესათ აბათილებს გაზეთების ყალბ ცნობებს საბჭოთა კავშირის შესახებ. ეს კიდევ ცოტაა,—უკანასკნელ ხანებში ფეხზე წამოდგა ჩვენი საბჭოთა გოჭიც, რომელიც გაგვაქვს საზღვარ-გარეთ. იგიც საუცხოვოთ აბათილებს სიცრუეს, რომელსაც ავრცელებენ ბურჟუაზიული ლორები.

ჩვენ ვიზრდებით.

ის ფაქტი, რომ ჩვენ გამოვედით საგარეო ბაზარზე, ამტკიცებს ჩვენ აღორძინებას. ჩვენ ვიზრდებით. საზღვარ-გარეთ ამაში რწმუნდებიან. ამერიკა გაოცდა, როდესაც ჩვენმა საფეიქრო მრეწველობამ შეუკვეთა მას 56 მილიონი მანეთის ბამბა.

როგორ ჩავაჩუმეთ ჩემბერლენი.

ორი თვის წინათ ჩემბერლენი სერიოზულად აგროვებდა ჩვენს წინააღმდეგ ძალებს საზღვარ-გარეთ. და სცდილობდა ჩვენს წინააღმდეგ ცეცხლის და მახვილის მომართვას. ამ დროს რაკოვსკი დაბრუნდა ლონდონში და განაცხადა, რომ, სხვათა შორის, ის ნანობს, რომ ჩამოიტანა პატარა შეკვეთა 15 მილ. გირვ. სტერლინგის რაოდენობით. ინგლისის გაზეთები მეგობრულად აღაპარაკდნენ. თუ ჩემბერლენის ზრახვები ჩაიშალა, ამას ხელი შეუწყო შეკვეთამ. შეკვეთა კი შედეგია ჩვენი ზრდის.

ახლო მომავალში ჩვენ აღარ ავამუშავებთ ძველ ქარხნებს, ავაშენებთ ახლებს. მახლობელ სამეურნეო წელს ჩვენ 909 მილიონ მანეთით ვადიდებთ ჩვენი მრეწველობის ძირითად თანხას. ამით ჩვენ, ეჭვს გარეშეა, დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია ავაწყოთ მეურნეობა, თუ თავს დაგვანებებენ.

ჩვენი მტერ-მოყვარენი

მოგვცემენ თუ არა მტრები საშუალებას განვაგრძოთ მშვიდობიანი მშენებლობა? ჩვენს მტრებს სურთ ჩვენი მიწასთან გასწორება, სანამ ჩვენ ჯერ კიდევ არ განვმტკიცებულვართ საბოლოოთ. მეორეს მხრივ ყველა ქვეყნების მუშათა კლასი ჩვენს მხარეზეა. იქნება თუ არა ომი? წინდაწინ ამის თქმა ძნელია, მაგრამ ბევრი შანსებია იმისა, რომ მუშების ეხლანდელ განწყობილების დროს ბურჟუაზიას არ შეუძლია ჩვენს წინააღმდეგ დიდი შეიარაღებული ძალების გამოგზავნა.

ოქტომბერში ჩვენ სწორი ნაბიჯი გადავსდგით

თუ გაუკეთებთ ჯამს ჩვენს სამეურნეო მუშაობას 8 წლის განმავლობაში და შევეკითხებით ჩვენს თავს, იყო თუ არა შეცდომა ოქტომბრის რევოლიუცია, ჩვენ დამშვიდებული სინიდისით უნდა ვსთქვათ: „არა, იგი არ ყოფილა შეცდომა. მძიმე დრო უკვე განვლილია, არ არის ამოცანა, რომლის შესრულებაც არ შეეძლოს შეკავშირებულ პროლეტარიატს და გლეხობას“. ერთი წლით ადრე ან ერთი წლით გვიან ჩვენ ავაშენებთ დნეპრის ჩქერებზე მძლავრ ელექტრო-სადგურს, რომელიც როგორც სისხლით სავსე გული მიაწოდებს ენერგიას ქარხნებსა და გლეხების ხნულებს. ჩვენ შეგვიძლია გაბედულათ ვილაპარაკოთ მომავალზე, რომელიც ჩვენ მოგველის. ჩვენ ავიყვანთ ჩვენს ხალხს არაჩვეულებრივ სიმაღლეზე, ჩვენ გავფანტავთ სიბნელეს და უცოდინარობას.

გაუმარჯოს დიდ ოქტომბრის რევოლიუციას“.

სახალხო მეურნეობა 1925—26 წ.

მოსკოვი, 1 სექტემბერი. შრომის და თავდაცვის საბჭომ კამენევის თავმჯდომარეობით მოისმინა სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენება საბჭოთა კავშირის 1925—26 წლ. სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ.

მომხსენებლები აღნიშნავდნენ სახალხო მეურნეობის არაჩვეულებრივ ზრდას მიმდინარე წელს და საბჭოთა კავშირის მრეწველობის განვითარების დამაკმაყოფილებელ პერსპექტივებს ახალ საბიუჯეტო წლისათვის. მომხსენებლები ასაბუთებდნენ საბჭოთა კავშირის მიღწევებს სათანადო ციფრებით.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენება წარმოადგენს სახელმწიფო საგეგმო კომისიის და სახ. კომისარიატების მრავალ ეკონომისტთა 4 თვის მუშაობის შედეგს. საკითხის სერიოზულობის და მასალის სიუხვის გამო შრომის და თავდაცვის საბჭომ საჭიროთ სცნო კიდევ უფრო ზედმიწევნით იქნას დამუშავებული. სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები, რისთვისაც დაადგინა საკითხი არსებითად იქნას განხილული შრომის და თავდაცვის საბჭოს სპეციალურ სხდომაზე 10 სექტემბერს.

საბერძნეთში

32 კომუნისტის გასამართლება

ათინა. 31 აგვისტო. 32 კომუნისტის პროცესი, რომელიც დაიწყო 24 აგვისტოს პირველ საარმიო კორპუსის სამხედრო ტრიბუნალში შეწყვეტილია განუსაზღვრელ დრომდე.

მთავარი მოწმე ბრალდებისა სარგოლოგოსი, რომელიც თავის დროზე გამორიცხული იყო კომუნისტური პარტიიდან ცდილობდა დაემტკიცებია, რომ არსებობდა კავშირი საბჭოთა მთავრობასთან და კომინტერნთან.

პროკურორი ბრალს სდებდა კომუნისტებს იმაში, რომ მათი პროპაგანდა მაკედონიის ავტონომიის სასარგებლოდ უადვილებს სამხრეთ სლავიას და ბულგარეთს მათი გეგმის განხორციელებას საბერძნეთის მაკედონიის შესახებ.

ბრალდებულებმა დაამტკიცეს, რომ საბერძნეთის ინტერესები მოითხოვენ მაკედონიის ავტონომიის მიცემას და გამოააშკარავეს სარგოლოგოსის ყალბი ჩვენებები.

რადგანაც პროკურორმა დაჰკარგა ნიადაგი—სასამართლოს წარუდგინა ყალბი საბუთი, რომელიც მიიღო გარეშე საქმეთა სამინისტროს არქივიდან,—ასლი კომინტერნის ყალბი წერილისა.

დამცველებმა პროტესტი განაცხადეს ამის გამო.

ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ საბუთი ყალბია. მთავრობა ჩადგა უხერხულ მდგომარეობაში, ვინაიდან ბრალდებულებმა შესძლეს დაემტკიცებიათ სასამართლოსთვის, რომ ისინი მოქმედებდნენ არასაზარალოდ, არამედ საბერძნეთის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ავსტრია

მეზღვაურთა გაფიცვა.

ლონდონი, 31 აგვისტო. სიდნეის (ავსტრალია) სამოსამართლო ხელისუფლებამ წინადადება მისცა მეზღვაურთა გაფიცვის ორგანიზატორებს ჟოლმს და იოჰანსენს გამოცხადდნენ 3 სექტემბერს გადასახლების საქმეთა ბიუროში. შრომის მინისტრმა კრესუელმა გაილაშქრა ამ დადგენილების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ის ხალხი, რომელიც ერთგულია თავიანთი კავშირისა, უნდა სარგებლობდეს სახელმწიფოს მფარველობით.

ბელგია

მელითონეთა შორის.

პარიზი, 31 აგვისტო. ბელგიის მელითონეები, გარდა შარლერუას 13.000 მუშისა, განაახლებენ მუშაობას 31 აგვისტოს.

გენტში გაფიცულები უარს აცხადებენ მუშაობის განახლებაზე, მიუხედავათ რეფორმისტულ ლიდერების მეცადინეობისა, უკანასკნელები შეთანხმების მიღწევას სთვლიან მუშების გამარჯვებათ.

ამხ. სკლიანსკის და ხურგინის დაღუპვის გამო.

პასუხათ იმ დეპეშაზე, რომელიც ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ მიიღო ნიუ იორკიდან ამერიკული სავაჭრო სამმართველოს გამგეობისაგან, საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილემ ამიერ-კავკასიაში და ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამგეობის თავჯდომარეს მოადგილემ ამხ. ავაქოვმა ნიუიორკში გაგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ღრმათ დაგვამწუხრა თქვენმა ცნობამ ამხ. ხურგინის და სკლიანსკის ტრაგიკულათ დაღუპვის შესახებ. მათი სახით საბჭოთა კავშირმა დაკარგა საუკეთესო მებრძოლები სამეურნეო ფრონტზე. გვწამს, რომ მათი უდროო სიკვდილი არ შეასუსტებს თქვენს ენერგიას“.

გვამების დაწვა

ნიუ-იორკი, 31 აგვ. 31 აგვისტოს კრემატორიუმში დასწვეს დაღუპულ სკლიანსკის და ხურგინის გვამი. მათი ფერფლი სპეციალური კურიერის საშუალებით იგზავნება მოსკოვში.

სამგლოვიარო ცერემონიას დაესწრო დაღუპულთა რამოდენიმე ასეული ამხანაგი. მსოფლიოს ყველა კუთხეებიდან მიღებულია თანაგრძნობის დეპეშები ამერიკის მრავალრიცხოვანმა მუშებმა, საფინანსო და სამრეწველო ორგანიზაციებმა, და აგრეთვე კერძო პირებმა გამოგზავნეს თანაგრძნობის დეპეშები. ადგილობრივმა პრესამ დაღუპულთა ხსოვნას უძღვნა თანაგრძნობის წერილები. გამონაკლის შეადგენს სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფორვარდი“, რომელიც უდიერათ იხსენიებს დაღუპულებს.

კუბოებთან დაყენებული იყო საპატიო ყარაული საბჭ. ამხანაგისაგან. „ამტორგმა“ მუშაობა შეწყვიტა სამი დღით.

წითელ რესპუბლიკებში

უკრაინა

„დნეპროსტროის“ დათვალიერება.

ზაპოროჟიე, 1 სექტ. 30 აგვისტოს „ზაპოროჟიეში“ ჩავიდა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენელთა კომისია ტროცკის მეთაურობით „დნეპროსტროის“ დასათვალიერებლათ.

კომისია გაემგზავრა სადგურ კიჩკასში განზრახულ სამუშაოების ადგილას.

გაიმართა სხდომა, რომელზედაც გათვალისწინებული იქნა ყველა საჭირო საკითხები, რის შემდეგ კომისიამ დაათვალიერა კიჩკასის ხიდი და აგრეთვე დნეპრის ნაპირი, სადაც აშენებული იქნება ელექტროსადგური.

შემდეგ კომისია გემით გაემგზავრა დნეპრზე კუნძულ ხორტიცის დასათვალიერებლათ.

ინგლისელი სპორტსმენი ქალების ჩამოსვლა

მოსკოვი, 31 აგვისტო. ლაილანდის სისტემის ავტომობილით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ ლონდონელი ადვოკატი-ქალები, სპორტსმენები: იდა დუნკანი და ალისა ხორსმანი. ისინი გამოვიდნენ ლონდონიდან 1 აგვისტოს, ლა-მანშის სრუტეზე გადავიდნენ გემით და შემდეგ ისევ ავტომობილით განაგრძეს გზა შემდეგი მარშრუტით: ბერლინი—რიგა—პსკოვი—ტვერი—მოსკოვი. ინგლისელმა სპორტსმენმა ქალებმა გზაში დაჰყვეს 15 დღე.

ტბათმცოდნეების ყრილობა

მოსკოვი, 31 აგვისტო. 30 აგვისტოს გაიმართა ლიმნოლოგების (ტბათმცოდნეების) საერთაშორისო კონგრესის უკანასკნელი სხდომა. დაესწრნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები: იტალიის ელჩი, შვეციის რწმუნებული, ჩეხოსლოვაკიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გირსა, გერმანიის საელჩო მრჩეველი გეი და ავსტრიის საელჩოს პირველი მდივანი ხუდაჩეკი.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელით კონგრესს მიესალმა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ეკონომიურ-უფლებრივ განყოფილების გამგე კოლჩანოვსკი, რომელმაც გამოსთქვა რწმენა, რომ მეცნიერთა ამ პირველ საერთაშორისო კონგრესს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოჰყვება სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა ყრილობა საბჭოთა კავშირის მეცნიერებთან ერთად.

ლიმნოლოგების საერთაშორისო გაერთიანების თავმჯდომარემ პროფესორმა ტინემანმა საპასუხო სიტყვაში მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას გულითადი მიღებისათვის.

ავსტრიის მუშა ახალგაზრდობის დელეგაცია

მოსკოვი, 31 აგვისტო. 1 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვა ავსტრიის მუშა ახალგაზრდობის დელეგაცია.

დელეგაცია ინახულებს ლენინგრადს და საბჭოთა კავშირის სხვა სამრეწველო ცენტრებს.

მოტოციკლეტების გადარბენა

მოსკოვი, 1 სექტემბერი, 30 აგვ. გაიმართა მოტოციკლეტების გადარბენა მოსკოვ-ხარკოვ-მოსკოვ ფინიში.

პირველი ფინიშთან მივიდა ფრანგი დიუმულენი მანქანა „ჟილეტ“-ით, მას 17 წუთის შემდეგ—რუსი შოფერი—ფრანგის მოგვარე—აგრეთვე დიუმულენი მანქანა „ხარლეით“—სულ ჩამოვიდა 18 მანქანა. ორი მანქანა დარჩა სერპუხოვსა და მოსკოვს შორის, დაზიანების გამო. დაიგვიანა კომანდორის მანქანამაც.

ფინიშიდან მოტოციკლეტების რიგები მუსიკით გაემართნენ მოსკოვში წითელ მოედნისაკენ.

ფრანგი დიუმულენი, რომელსაც მიეცა პრემიათ ოქროს მედალი, აღტაცებულია გადარბენის მოწყობით და მცხოვრებთა აღფრთოვანებული შეხვედრით.

სამის ხსოვნას

მოსკოვი, 31 აგვისტო. გაიმართა სამგლოვიარო საღამო პოლონელ რევოლიუციონერების გიბნერის, კნიევსკის და რუტკოვსკის ხსოვნის აღსანიშნავად. სიტყვები წარმოსთქვეს: დომბალმა, კოლაროვმა, ბრაუნმა, დობროჟინსკიმ და სხვებმა.

კრებამ მიიღო მისასალმებელი დეპეშები ბურჟუაზიულ ციხეებში გამომწყვდეულ ყველა რევოლიუციონერებისადმი. კრებამ დაადგინა მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს გიბნერის, კნიევსკის და რუტკოვსკის ოჯახებს.

საკავშირო ავტო-გადარბენა

ავტომობილების ბანაკზე

31 აგვისტოს თბილისის მთავარ ქუჩებზე გამარჯვებული გმირებივით ჩამოიარეს ლენინგრადის სიშორიდან მომავალმა ავტომობილებმა.

მათ დასასვენებელ ბანაკათ გადაიქცა მეოცდაერთე ფეხოსანთა სასწავლებელი, პლეხანოვის პროსპექტზე.

1 სექტემბერს, 11 საათზე დანიშნულია მანქანათა ტეხნიკური შემოწმება.

მთელ თბილისის მცხოვრებლებში განსაკუთრებული ყურადღება გამოიწვია ამ ლამაზ და ძლიერ მანქანების ასე დარაზმულათ შემოსვლამ.

სასწავლებელთანაც მრავალ ცნობის მოყვარეთ მოუყრიათ თავი მაგრამ უშვებენ მხოლოდ განსაკუთრებულის ნებართვით.

წითლათ მორთულ ფართე ეზოში დიდი ოთხ-კუთხი შემოუვლიათ თოკით, რომელიც შემკულია სხვადასხვა სახელმწიფოთა ფერადოვანი პატარა დროშებით.

ოთხ-კუთხეში კიდევ ცარცით არის შემოვლებული ყოველი მანქანის ადგილი, თავის ნომერის აღნიშვნით. მანქანებიც ესევე არიან ჩამწკრივებული რიგ-რიგათ.

თოკის წრეში—დრომდის ერთ კაცსაც არ უშვებენ.

სასწავლებლის კედლის სიგრძეზე წყება და წყებათ ჩამომსხდარან გადარბენის მონაწილენი. ზოგიც ფეხზე სდგას ჯგუფ ჯგუფად და ესაუბრებიან გარშემოხვეულ ცნობის მოყვარეთ.



ფინიშთან

შეკრებილი ხალხი ესალმება გადარბენის მონაწილეთ

ყველა მათგანს ახასიათებს ჯანსაღობა, მზე და ჰაერი. თვალს იამება ამ საგანგებოთ დარჩეული ხალხის ცქერა.

იქვე ტრიალებს ამხანაგი მელნიკოვი, თბილისის ეტაპის უფროსი. ის სიამოვნებით გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას კავკავიდან თბილისამდის.

ის ამბობს, რომ კურსკში საუცხოვოთ მიგვიღეს, მაგრამ სულ ყველას გადააჭარბა თბილისმა. კავკავიდან—თბილისამდის გზა პირდაპირ იშვიათია. შედარებაც კი არ შეიძლება სხვა დანარჩენ გზებთანო. ამასთანავე ყოველგვარი წინდახედულობა იყო ნახმარი, რომ უფრო გაადვილებულიყო ამ გზის გამოვლა. რუსეთის გზებზე ხშირათ გვაწუხებდა წვიმა. კავკავში საშინელი სეტყვაც იყო, რომელმაც ძალიან დააზარალა ქალაქი. სამაგიეროთ საქართველოს სამხედრო გზის სილამაზემ და სიამოვნებამ სულ დაგვავიწყა მანამდისინ ნახული ყოველგვარი შეწუხებაო.

⁂

გადარბენაში მონაწილეობას იღებს უცხოელთა 27 სხვადასხვა ფირმა. თვითეულ ფირმას რამდენიმე მარკის მანქანა აქვს წარმოდგენილი. თბილისში სულ ჩამოვიდა 81 მანქანა.

ყველა ისინი ბრძოლაში დაქანცული მეომრებივით გაწოლილან ეზოში. თანაც ისე არიან მოსვრილნი მტვერში და ტალახში, რომ აშკარათ ეტყობათ რამდენიმე ათასი კილომეტრის დაძლევა.

გააღეს კარი.

მექანიკოსები სასწრაფოდ გაეშურნენ თავიანთი მანქანების სანახავათ, მოსავლელათ და შესამოწმებლათ.

ყველა მანქანებმა დააღეს ხახა და მოტორებთან მზრუნველობით დაიწყეს ფუსფუსი მექანიკოსებმა.

დაფაცურდნენ გაზეთის რეპორტიორები, ფოტოგრაფები, კინოაპარატები.

იქვე მოვიდნენ ავტომობილზე მომუშავეთა ჯგუფები მანქანების დასათვალიერებლათ.

უნდა ითქვას, რომ ამ გადარბენას სრულებით არა აქვს სპორტის ხასიათი. აქ უნდა გამოირკვეს ამა თუ იმ მანქანის გამძლეობა და პრაქტიკულობა ჩვენს პირობებში. ამიტომ მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, თუ წინ და უკან რომელი მოვა, არამედ იმას, თუ რომელი უფრო გამძლე გამოდგება.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ჩეხო-სლოვაკიის „ტატრას“ მარკის პატარა მანქანები. ისინი სხვა გოლიათებთან შედარებით—ბავშვებსა ჰგვანან. მაგრამ აქნობამდის ჯერ იმათ არავითარი ზიანი არ მოსვლიათ და სულ საღათ მოდიან.

აგერ ფრანგული ხუთ-ძალიანი „რენოც“. ის პირდაპირ მოსკოვის ბირჟიდან მოუხსნიათ და ისე გამოუგზავნიათ. მისი შოფერი იმედიანათ გაიძახის, რომ თბილისიდანაც ისევე საუცხოვოთ დაბრუნდება, როგორც მოვიდა აქნობამდის.

აგერ გოგრების თავისებური კონსტრუქციით აღსანიშნავი ისევ ფრანგული მანქანა „სიზელისა“.

ამავე მანქანით მოგზაურობს ფრანგულ ყველაზე გავრცელებულ გაზეთ „პტი პარიზიენის“ კორესპონდენტი.

ეს კორესპონდენტი პირდაპირ აღტაცებულია თავის მოგზაურობით და ამბობს, რომ მთელ ფელეტონებს დავსწერ პარიზში დაბრუნებისასო. თბილისს კი განსაკუთრებით უნდა მიუძღვნა ცალკე წერილიო.

ის მოხიბლულია რუსეთის ქალაქების სილამაზით, მაგრამ დარიალის ხეობის ბადალი მაინც არაფერი მინახავსო, თბილისი კიდევ ყველაზე მეტ შთაბეჭდილებას ახდენს. განსაკუთრებით მოსწონს აქაური ხალხი.

⁂

ერთი-ერთმანეთზე ლამაზი ავტომობილები ყველანი მოითხოვენ თავიანთ წინ შეჩერებას.

ვინ იფიქრებს, თუ მომაკვდავი ავსტრიაც ისეთ საუცხოვო მანქანებს გამოგზავნიდა, როგორც სამი „სტეიერი“. მათ გვერდით კი სამი რჩეული რაინდივით ამოუდგარან გერმანული „სტეიერები“. ამ მანქანებით ნამდვილადაც ღირს დედამიწის ზურგის გადაქცევა!

აგერ „ჰორხი“ და „ბენცი“, ისევ გერმანიის წარმოების სიამაყენი.

მაგრამ ამერიკაც უდიდეს მოქიშპეთ არის გამოსული ამ ბრძოლაში,

მისი „ბუიკი“ ამაყურათ უსწორდება სხვა საუკეთესო მანქანებს.

მათივე „პერსარო“ ფრთებში თვალებ გამოსხმული ვეშაპივით იმედიანათ გაწოლილა სხვა სწორთა შორის.

ისევ ამერიკელების „ლინკოლნი“—ეს ხომ თანამედროვე წარმოების საუკეთესო ნიმუშია თავისი ტყუპი მოტორით და მკვიდრი, ლამაზი კონსტრუქციით. ეს „ფორდის“ ფირმის ნაწარმოებია. თუმცა იმავე „ფორდის“ ორი მანქანა უღღეურათ ამოსდგომიან გვერდში გერმანელ მეომრებს. თუ აქნობამდის კარგათ იარეს მათ, საეჭვოა, რომ მოსკოვამდის მაინც გადურჩნენ კისრის მოტეხვას.

პირველ და მეორე ნომერზე კი ამაყათ სდგას გერმანული ორი „მერსედესი“.

მართალია, ამ კონკურსში პირველად მოსვლას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მაინც ყველას თვალში რაღაცა უპირატესობას იღებს ეს ორი საუცხოვო ვეშაპი.

სხვებს არ ჩამორჩება არც იტალიური „ფიატი“. აგერ ერთ-ერთი ამ მანქანისთვის აუხდიათ მოტორის ჩარდახი, გვერდზე ამოსდგომია განთქმული იტალიელი—სპორტსმენი კანიო და კინო-აპარატიც გაფაციცებით ტრიალებს უკვე მოქნილის მარჯვენით.

⁂

თბილისამდის სრულიად შეუკეთებლად ჩამოსულა პირველი რაზმიდან № 13 „სტუდა-ბაკერი“. მეორე რაზმიდან—„ბიუტი“, „პირს-ორელი“ და კიდევ რამდენიმე.

სტინესის ქალი მოგზაურობს ავტომობილით № 89 „გერმანია“.

ის ყველას ცნობილ სტინესის შვილი ჰგონია. ნამდვილად კი ის ყოფილა მხოლოდ მახლობელი ნათესავი.

გადარბენის ყველა მონაწილენი ქება-დიდებით იხსენიებენ თბილისის აბანოებს და იქაურ მექისეებს, რაც ხშირად გაგვახსენდება სხვა ქალაქებში ყოფნისასო.

მოედანზე მთელი სიცოცხლე ტრიალებს, რაღაცა სიამაყითა და პატივისცემით უცქერი არა მარტო ხალხს, არამედ ამ ფოლადისა და რკინის სულდგმულებსაც, რომელნიც ასე გმირულათ ამარცხებენ მანძილის სიშორესა და სიძნელეს. **მოამბე.**

ბანკეტი

გუშინ, საღამოს 8 საათზე ავტო-გადარბენის მონაწილეთა საპატივცემლოდ ახალ კლუბში გაიმართა ამხანაგური ვახშამი, რომელსაც დაესწრო 500-დე კაცი.

პირველი სიტყვით საქართველოს მშრომელთა სახელით მიმართა ამხ. **გ. სტურუამ,** რომელმაც უსურვა ყველა მონაწილეთ ღირსეულად დაგვირგვინებულიყოს მათი შრომა მთელ საბჭოთა კავშირის კეთილდღეობისა და წარმატებისათვის.

ამ პირველ საერთო მისალმებას მოჰყვა კონცერტული განყოფილება.

შემდეგ ამხ. **შ. ელიავამ** გადარბენის მონაწილეთ მიმართა საქართველოს მთავრობის და ა|კ. გადარბენის დამხმარე კომიტეტის სახელით და სთქვა, რომ შრომა და ტეხნიკა—ეს არის თანამედროვე ეპოქის ძალა და გამარჯვება.

კიდევ წარმოითქვა მრავალი საყურადღებო ტოსტი.

ბანკეტი დამთავრდა ღამის 1 საათზე.

გადარბენის ისტორია, მიზანი და მნიშვნელობა

საუბარი ამხ. ლიტვინ-სედოისთან.

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა საკავშირო ავტო-გადარბენის ხელის შემწყობ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ლიტვინ-სედოის, რომელმაც შეკითხვაზე, თუ როგორია ისტორია ამ ავტო-გადარბენის და რა მიზანს ისახავს ის—განაცხადა:

— უცხოეთის სახალხო მეურნეობაში საავტომობილო ტრანსპორტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იქ არ არის ისეთი ავტო-მანქანა, რომლის გამოყენება არ შეიძლებოდეს მეურნეობაში. ამ მხრივ ჩვენ ევროპას საგრძნობლად ჩამოვრჩით.

იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა ჩვენი საავტომობილო მრეწველობა იმდენად დააქვეითეს, რომ იძულებული ვართ მივმართოთ უცხოეთის ფირმებს და იქიდან შევიძინოთ ავტომობილები.

და აი სწორედ, ავტომობილების ამორჩევის ერთად-ერთ საშუალებად ითვლება გადარბენა, რომლის დროსაც ირკვევა ხარისხი ამა თუ იმ მანქანისა.

მანქანების ამორჩევის პირველი ცდა აღნიშნული მიზნით ჩვენში პირველად მოხდა 1923 წელს; მაშინდელ გადარბენაში მონაწილეობა მიიღეს უცხოეთის სხვადასხვა ფირმებმა და [illegible] გამოცდილებით მათ მიაღწიეს [illegible] და ტექნიკურ გამძლეობის [illegible] მრეწველობის დარგში. ამ გამოცდამ ჩვენ დიდი შედეგები მოგვცა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში.

მაგრამ საბჭოთა კავშირში საავტომობილო ტრანსპორტის კიდევ უფრო განვითარების მიზნით მოწყობილი იქნა ეხლანდელი გადარბენა, რომელსაც 1923 წლის გადარბენასთან დიდი უპირატესობა აქვს იმ მხრივ, რომ პირველი ხდებოდა რესპუბლიკის ცენტრში 2.000 კილომეტრის მანძილზე, ეხლანდელი კი სწარმოებს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბზე.



ამხ. ლიტვინ-სედოი

ავტო-გადარბენის ხელის შემწყობ საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

— პირველ ყოვლისა—სთქვა ამხ. სედოიმ, გადარბენის მნიშვნელობის შესახებ,—გადარბენას მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ იგი ითვლება საზოგადოებრივ ლაბორატორიათ და ამავე დროს გამოფენათ, რაც საშუალებას აძლევს ჩვენს ავტო-მუშაკებს გაეცნონ საავტომობილო მრეწველობის ახალ ტეხნიკას და მიღწევებს.

ამასთანავე ეს ავტო-გადარბენა საშუალებას აძლევს ჩვენს სარეზინო და ნავთის მრეწველობას გამოარკვიოს თავის ნაწარმოების ხარისხი.

ამას გარდა გადარბენა გვიჩვენებს, თუ რამდენად გამძლე და გამოსადეგია ჩვენი გზატკეცილები ტრანსპორტის მექანიზაციისათვის.

საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება განსაკუთრებით საჭიროა ხარკოვიდან-კავკავამდე და თბილისამდე. სადაც ტრანსპორტის საქმე საგრძნობლად გაძნელებულია.

— საერთოდ კი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება, სთქვა დასასრულს ამხ. სედოიმ—მოითხოვს ადგილობრივ ტრანსპორტზე გადასვლას და ამ მხრივაც ამ გადარბენას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა.

გადარბენის ქრონიკა

როდის დაბრუნდებიან უკან

თბილისიდან მანქანები გაბრუნდებიან ხვალ 3 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე ჩვეულებრივი დროით.

მონაწილეთა მოხსნა

გადარბენის მონაწილეთაგან მოხსნილი იქნებიან უკან დაბრუნების დროს ის პირები, რომლებსაც არაფერი საერთო არ აქვთ გადარბენის ტეხნიკურ მხარესთან; მანქანები მათ მაგიერ დაიტვირთება სილიანი ტომრებით.

როგორ წავლენ

მანქანები კავკავამდე წავლენ გზატკეცილით. კავკავიდან თუ ცუდი დარი არ იქნა, გზას განაგრძობენ ხარკოვამდე ასევე, წინააღმდეგ შემთხვევაში მანქანებს გადაიტანენ რკინის გზით, ხოლო ხარკოვიდან კვლავ გზატკეცილით წავლენ.

ამ საკითხის წინასწარ გამოსარკვევად კომიტეტმა კავკავში გაგზავნა საორგანიზაციო კომისიის [illegible] წევრი.

საბჭოთა ბენზინისა და ზეთის გამოცდა

იმისათვის, რომ გამოირკვიოთ ჩვენი ბენზინის და ზეთის ხარისხი, ნავთის სინდიკატმა დართო ნება ყველა უცხოეთის ფირმებს გადარბენაში ისარგებლათ ამ უკანასკნელებით.

საბჭოთა შინების ღირსება

რეზინის ტრესტიც აწვდის გადარბენთ ავტომობილების შინებს, რამაც დაამტკიცა, რომ საბჭოთა შინები გამოსადეგია როგორც ქალაქებში სამოგზაუროთ, ისე სწრაფი მოგზაურობისათვის.

საქართველოს სამხედრო გზა

ავტო—გადარბენის ხელშემწყობ კომიტეტის მდივნის ამხ. ფელდმანის აზრით, წელს საქართველოს სამხედრო გზა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია.

რომელი ქვეყნიდან რამდენი ავტომობილი იღებს გადარბენაში მონაწილეობას.

გერმანია	9
საფრანგეთი	12
ინგლისი	3
იტალია	10
ავსტრია	6
ჩეხო-სლოვაკია	6
ამერიკა	38
სულ	84 მანქანა

აქედან თბილისში ჩამოვიდა მხოლოდ 81 მანქანა. სამი კი ჩამორჩა გზაში.

ბრძანება

№ 160

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა

31 აგვისტო 1925 წ. ქ. თბილისი.

ქ. თბილისის და მის მაზრის, დუშეთის მაზრის მილიციის უფროსებს

სრულიად საკავშირო საავტომობილო გადარბენის გადადების გამო, ა|წ 2 სექტემბრიდან 3 სექტემბრამდე, სათვის და ჩემი ა|წ 28 აგვისტოს № 156 ბრძანების შესაცვლელად ვბრძანებ:

საქართველოს სამხედრო გზაზე მთელ ხაზზედ გახსნათ ყოველგვარი მოძრაობა 1 და 2 სექტემბერს, ხოლო 3 სექტემბერს ისევ აკრძალონ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი მათიკაშვილი.

ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი რესპუბლიკის მილიციის უფროსი მოჯიაშვილი.

კუკი ბერლინში

კუკის სიტყვა მიტინგზე

ბერლინი, 21 აგვ. ინგლისის სამთომადნო მუშათა კავშირის მდივნის კუკის გამოსვლა ბერლინში „რემდასის“ გერმანიის სექციის მიერ მოწყობილ მიტინგზე. არაჩვეულებრივი მოვლენა იყო გერმანიის პროლეტარიატის ცხოვრებაში. კუკის სიტყვამ, რომელიც გაგრძელდა ორი საათი, არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

კუკი ამხილებს ყვითელ ბელადებს

კუკმა განაცხადა: „შეცდომაში შეყვანილ გერმანელ მუშების მიერ დოუესის გეგმის მიღების გამო, გერმანია საფრთხეში აგდებს საერთაშორისო პროლეტარიატის ნივთიერ მდგომარეობას.

„პროფკავშირთა ბელადების პოზიციის გამო,—განაგრძობს კუკი,—გერმანიის მუშები შეყვანილი არიან შეცდომაში ყალბი ცნებით „სამშობლო“.

მე არ ვიცი არავითარი სამშობლო და კლასს ყოველთვის სამშობლოზე უფრო მაღლა ვაყენებ. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ შემთხვევით გარემოებას, რომ მე ინგლისში დავიბადე. მე პასუხისმგებელი ვარ ჩემი საქციელისათვის მხოლოდ ჩემი კლასის და ინტერნაციონალის წინაშე“.

ორატორი უდიდეს საზიზღრობად სთვლის გერმანიის პროფკავშირთა წარმომადგენლების საქციელს სამთომადნო მუშების კონფერენციაზე პარიზში და მოუწოდებს დაარსებულ იქნენ სამრეწველო კომიტეტები, მთლიანობის კავშირები და ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლს გაუწევენ ბელადების საქციელს.

თავიდან მოიშორეთ ყვითელი ბელადები

„თავიდან მოიშორეთ ის ბელადები, რომლებიც მოუწოდებენ შტრეიკბრეხერობისაკენ ეგრეთ წოდებულ სამშობლოს ინტერესების გულისათვის,—ამბობს კუკი. ცხოვრების პირობები გიკარნახებთ თქვენ, გერმანელ მუშებს აქტიურ გამოსვლებს მომავალში. დეე თქვენმა ბელადებმა აწარმოონ მოლაპარაკება, თქვენ კი უნდა იმოქმედოთ“.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელებზე კუკის სიტყვის ის ნაწილი, სადაც ის ეხება ინგლისის მუშების, მიღწევებს მათ ბრძოლაში მთავრობის და ნახშირის მაგნატების წინააღმდეგ, რაც შედეგია ინგლისის პროფკავშირების მემარცხენე ფრთის საღი ხელმძღვანელობის.

კრების ხელმძღვანელი ლედებური რომელზედაც კუკის სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, ამბობს: „კუკის მგზნებარე სიტყვა დაჩრდილავს გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების ბრესლაუს კონფერენციის უხეირო წუწუნს“.

მსმენელებს შორის ხშირად ისმოდა ხმები ლენინის ხსოვნის საპატივცემლოთ.

კუკი ეხება დოუესის გეგმას და აცხადებს: „თუ გერმანიის მუშები არ შეამჭიდროვებენ თავის რიგებს და არ შეუერთდებიან საერთაშორისო მუშათა მოძრაობას, რათა ხელმეორეთ მოიპოვონ წინანდელი სამუშაო დღე და წინანდელი შრომის ხელფასი, ისინი დაყვანილი იქნებიან ჩინელ მუშების მდგომარეობამდე. ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის სამთომადნო მუშები დარწმუნებული არიან, რომ გერმანიის მუშები შემდეგში აღარ იმუშავებენ იმ პირობებში, რომელიც კატასტროფამდე მიიყვანს სხვა ქვეყნების სამთომადნო მუშებს“.

კუკის აზრით, გერმანიის პროფკავშირთა ბელადების პოზიცია დიდ ზიანს აყენებს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის ინტერესებს. **ამიტომ გერმანიის მუშებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ გერმანიამ უარი სთქვას დოუესის გეგმის შესრულებაზე. ინგლისის მუშები მზად არიან დაეხმარონ გერმანელებს ამ საქმეში.**

კუკი ძალიან ოპტიმისტურად უცქერის პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობის განხორციელებას პროფკავშირების მემარცხენე ფრთის ბელადების მიერ, მიუხედავად მემარჯვენე ფრთის წინააღმდეგობისა.

შემდეგ კუკმა განაცხადა: „საბჭოთა კავშირის და რუსეთის მუშათა კლასის ყველაზე სერიოზული მტრები იმყოფებიან გერმანიაში. ინგლისის მუშები უკვე დარწმუნდნენ, რომ კაპიტალისტები უკარნახებენ რეფორმისტ ბელადებს საბჭოთა კავშირზე თავდასხმას; გერმანელმა მუშებმა იმის მაგიერ, რომ დახმარება გაუწიონ რეფორმისტებს, უნდა შეიგნონ და შეიგნებენ კიდეც, რომ კლასობრივი ბრძოლა ვითარდება და რომ არც ერთ მუშათა ბელადს არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს ემსახუროს მწარმოებლებსაც და მუშებსაც. წელს ყველა ქვეყნის მუშებს მოელის მძიმე ბრძოლა. საერთაშორისო პროლეტარიატის თვალსაზრისით ამ მხრივ გერმანია ყველაზე უფრო საშიშ პუნქტს წარმოადგენს.



კუკი

ინგლისის სამთო-მადნო მუშათა კავშირის მთავარი მდივანი

საუბარი კუკთან

ბერლინი, 31 აგვ. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს კუკმა განაცხადა, რომ ის აპირებს ესენში გამგზავრებას, სადაც სიტყვას წარმოსთქვამს რურის სამთომადნო მუშების წინაშე.

კუკმა განაცხადა: „სამწუხაროთ, მე კიდევ არ მქონია საშუალება დავსწრებოდი გერმანიის მუშების რომელიმე კონფერენციას. ვფიქრობ, რომ ამას კავშირი აქვს იმ შეხედულებებთან, რომელსაც მე ვიცავ მუშათა მოძრაობის საკითხში. მაგრამ—**დასძინა ნახევრათ ირონიულათ კუკი—გერმანიის პროფკავშირების ბელადებს დიდათ არ მოსწონთ ინგლისის თვალსაზრისი პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ“.**

ემიგრაციის ჭაობში

რუს ემიგრანტების კონფერენცია სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 31 აგვ. ბელგრადში პროფესორ სალტიკოვის თავმჯდომარეობით შესდგა სამხრეთ-სლავიაში მყოფ რუს ემიგრანტების კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა დღის წესრიგი რუსეთის ემიგრაციის ყრილობის, რომელიც უნდა შესდგეს პარიზში ოქტომბერში. კონფერენციამ დაადგინა მხარი დაუჭიროს პარიზის ყრილობაზე ნიკოლოზ ნიკოლოზისძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნისტი“-ს
დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერლებს
ურიგდება უფასო დამატება
ჟურ. „მეცნიერება და ტეხნიკა“
№ 15—16

პარტიული ცხოვრება

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ამხ. კარკლინის მოხსენება

საგარანტიო ხელშეკრულების და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

შესდგება დღეს, 2 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის კლუბში.

თბილისის კომიტეტის მდივანი ახრიბეკოვი.

რ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

დადგენილება კოოპერაციის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 1 სექტ. რ. კ. პ. ცეკამ დაამტკიცა ცეკასთან არსებულ კოოპერატიული თათბირის დადგენილება კოოპერაციის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ.

ცეკამ აუცილებლად სცნო კოოპერაციის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გაფართოება ცენტრში და ადგილებზე.

კოოპერაციის კულტმუშაობის მთავარ შინაარსს უნდა შეადგენდეს: კოოპერატიულ მუშაკების კადრის მომზადება, კოოპერატიულ წიგნის სავაჭროების განვითარება, კოოპერატიული ბეჭდვითი სიტყვის გაუმჯობესება, მასიური კოოპერატიული აგიტაცია და პროპაგანდა.

უნდა მოეწყოს დაბალი საფეხურის კოოპერაციის ქსელის მუშაკთა კურსები გლეხების, მუშების, დელეგატ-ქალების და ღარიბ ახალგაზრდებისათვის.

აგრეთვე გაფართოებული უნდა იქნეს ქსელი კოოპერატიულ სამოსწავლო პუნქტების, განსაკუთრებით ტეხნიკუმების — თითო თვითეულ დარგისათვის.

ცეკა საჭიროთ სთვლის წიგნის სავაჭრო პუნქტების ქსელის გაფართოებას, განსაკუთრებით სოფლად.

კოოპერატიული ბეჭდვითი სიტყვა გაუმჯობესებული უნდა იქნეს და დაახლოვებული მასებთან. კოოპერატიული გაზეთები და ჟურნალები უნდა იქნენ პოპულიარული და მისაწვდომი მკითხველისათვის. კოოპერატიული ბეჭდვითი სიტყვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს დამუშავება და განმარტება პარტიის დადგენილებისა კოოპერაციის საკითხების შესახებ და იმის შემოწმება, თუ რამდენად ტარდება ეს დადგენილებები ცხოვრებაში, რისთვისაც აუცილებელია მუშა და გლეხ კოოპერატიულ კორესპონდენტების ფართო ქსელის მოწყობა.

პარტიულმა, პროფკავშირთა და საბჭოთა პრესამ უნდა გააძლიეროს ყურადღება კოოპერაციის საკითხებისადმი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერატიულ პროპაგანდას ნაციონალურ ოლქებში და რესპუბლიკებში.

ცეკა მოითხოვს, რომ ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან მოისპოს სავალდებულო პროცენტული ანარიცხი კოოპერატივის მოგებიდან და ბრუნვიდან პროფკავშირების და პოლიტგანების პოლიტგანათლების საჭიროებათათვის; ასეთი ანარიცხები დასაშვებია მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმებით კოოპერაციისა და პროფკავშირებსა და პოლიტგანებს შორის.

კოოპერაციის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გაძლიერება არ უნდა იწვევდეს ზედმეტ ხარჯებს და კოოპერატიულ აპარატის გაძვირებას.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღისათვის

რუსეთის ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ყველა ორგანიზაციებს

რუსეთის ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ახალგაზრდათა მეთერთმეტე საერთაშორისო დღის ჩასატარებლად აყენებს შემდეგ ლოზუნგებს:

1) კაპიტალისტები ამზადებენ ახალ საშინელ ომებს. ახალგაზრდებო, დადექით სადარაჯოზე იმპერიალისტების წინააღმდეგ!

2) ჩვენი მტრები ამზადებენ ახალ თავდასხმას საბჭოთა კავშირზე. მუშურ-გლეხურო ახალგაზრდობავ, ყოველთვის მზად იყავ წინააღმდეგობისათვის!

3) გაუმარჯოს პროფკავშირთა მთლიანობას! გაუმარჯოს მუშების ერთიან ფრონტს ბურჟუაზიის წინააღმდეგ!

4) მხურვალე სალამი საფრანგეთის ახალგაზრდა პროლეტარებს, რომლებიც რევოლიუციონური ბრძოლით უპასუხებენ იმპერიალისტების ომს და სისხლს მაროკოში!

5) მხურვალე და ძმური სალამი ჩინეთის რევოლიუციონურ ახალგაზრდობას! გაუმარჯოს აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა რევოლიუციონურ-განმანთავისუფლებელ ბრძოლას.

6) ძირს ფაშიზმი! ძირს საზიზღარი სოციალ-დემოკრატია! გაუმარჯოს კომინტერნს! გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალს!

7) ჩვენი ძმური სალამი ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის თავგანწირულ ახალგაზრდა მებრძოლებს! სალამი მსოფლიოს ყველა კომკავშირელებს, რომლებიც შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებენ ტერორის და რეაქციის უღლის ქვეშ! ძირს სისხლისმსმელი ჯალათები და პროვოკატორები!

8) სალამი ჩვენს თანამებრძოლ ძმებს, რომლებიც იტანჯებიან ბურჟუაზიულ ციხეებში? საუკუნო დიდება თეთრი ტერორის მსხვერპლთ? ბურჟუაზია და მისი ლაქიები მიიღებენ სამაგიეროს ენგელის, ბოტვინის და სხვა მებრძოლების დაღუპვისათვის!..

9) კომკავშირელო, გახსოვდეს, რომ შენ ხარ მუშათა კლასის საერთაშორისო ოჯახის წევრი და ყოველმხრივ ვალდებული ხარ დახმარება გაუწიო შენი ჩაგრული ძმების საბოლოო განთავისუფლებას კაპიტალის უღლისაგან!

10) ახალგაზრდათა ლენ. კომკავშირო განამტკიცე კავშირი ახალგაზრდათა მოძმე კავშირებთან!

11) იმპერიალისტების მუქარის საპასუხოდ—გავაძლიეროთ წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია!

12) ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეურნეობის აღდგენით ჩვენ ხელს უწყობთ მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებას?

13) მთელი მუშათა ახალგაზრდობა—რ. ახალგაზრდათა ლენინური კავშირის რიგებში!

14) სოფლის ახალგაზრდებო, ახალგაზრდა მოჯამაგირებო, ღარიბებო და საშუალო გლეხებო!—მჭიდროთ დაირაზმეთ რუს. ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის რიგებში და მისი დროშის ქვეშ.

15) ახალგაზრდა მუშა-ქალებო და გლეხ-ქალებო, შედით ლენინური კომკავშირის რიგებში!

16) კომკავშირელო! ლენინური სწავლა განამტკიცებს კომკავშირს და კიდევ უფრო მჭიდროთ დაუკავშირებს მას ბოლშევიკურ პარტიას!

17) ახალგაზრდა, ნორჩი ძალებით მოვეხმაროთ საბჭოების, კოოპერაციის განმტკიცებას, კულტურული მუშაობის გაფართოებას სოფლად!

18) კომკავშირი აფართოებს და აღრმავებს აღმზრდელობით მუშაობას, ამზადებს ასი ათასობით ბოლშევიკ-ლენინელებს!

19) გაუმარჯოს კომკავშირის რიგების მუშურ-გლეხურ მთლიანობას რუსეთის კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობის ქვეშ!

20) გაუმარჯოს კომკავშირელების შემცვლელებს—ახალგაზრდა პიონერებს!

21) კომკავშირის ძალების და გამოცდილების ზრდით დავეხმაროთ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მსოფლიო მოძრაობას!

22) გაუმარჯოს ახალგაზრდათა მეთერთმეტე საერთაშორისო დღეს!

23) ევროპის ახალგაზრდა მუშებო, გზავნეთ ჩვენთან თქვენი დელეგატები, შეისწავლეთ ჩვენი შრომა და ბრძოლა, განამტკიცეთ კავშირი საბჭოთა კავშირის მშრომელ ახალგაზრდობასთან!

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის კამპანიის ჩატარების დროს კომკავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა განუმარტონ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის ფართო მასებს შემდეგი საკითხები: საერთაშორისო მდგომარეობა, თანამედროვე მომაკვდავ კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი, ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხე, საბჭოთა კავშირის ურთიერთობა კაპიტალისტურ მსოფლიოსთან, გაშუქებული უნდა იქნეს ჩინეთის და მაროკოს ამბები, სოციალ-დემოკრატიის მოღალატური როლი, ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის და ინგლის-რუსეთის პროფკავშირთა კომიტეტის მნიშვნელობა, უცხოელთა დელეგატების ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში, კომინტერნის და ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მუშაობა, საბჭოთა კავშირის სამეურნეო ზრდა და მისი [illegible] გაძლიერება [illegible].

ამასთან ერთად გაშუქებული უნდა იქნეს პარტიის და კომკავშირის ამოცანები, პარტიის პოლიტიკა გლეხობის საკითხში, კომკავშირის მუშაობა მუშების და გლეხების კავშირის განმტკიცების საქმეში, კავშირში მუშური კადრის და სოფლად პროლეტარული ხელმძღვანელობის გაძლიერება, მოწესრიგება კომკავშირის მთელი მუშაობისა ახალგაზრდათა და ბავშვთა მასების აღზრდის საქმეში.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის ჩატარების დროს ერთგვარი ყურადღება უნდა მიექცეს დემონსტრაციების და მასიურ მსვლელობათა მოწყობას ზემოდ ჩამოთვლილ ლოზუნგებთან შეფარდებით.

რუსეთის ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცეკას მდივანი: ა. მილჩაკოვი.

თბილისის საბჭოს პლენუმი

31 აგვისტოს საღამოს 7 საათზე შესდგა თბილისის საბჭოს პლენუმი, რომელმაც მოისმინა ამხ. სუხიშვილის მოხსენება თბილისის აღმასკომის მუშაობის შესახებ.

საერთო შემოსავალ-გასავალი.

გასულ ნახევარ წლის განმავლობაში შემოსავალი უდრიდა 6.857.389 მანეთს (618.982 მანეთით მეტი, ვინემ გათვალისწინებული იყო ბიუჯეტში); გასავალი—6.511,491 მან. (363.084 მანეთით მეტი, ვინემ გათვალისწინებული იყო ბიუჯეტში). ამ ციფრებიდან ნათელია, თუ რამდენათ ნაყოფიერათ მუშაობდა საფინანსო აპარატი.

კომუნალური ბანკი.

დიდი წარმატებით მუშაობდა კომუნალური ბანკი, რომელიც სულ ნახევარი წელია, რაც არსებობს. პირველად მისი ძირითადი კაპიტალი უდრიდა 125.000 მანეთს, ეხლა კი უდრის 2.800.000 მანეთს. ბანკმა აღმშენებლობის საჭიროებისათვის მიიღო 400.000 მან.

ლომბარდი.

თბილისის ლომბარდი დიდ დახმარებას უწევს ღარიბ მოსახლეობას. საშუალო სესხი უდრის 16 მან.

ზაჰესი.

მუშაობა „ზაჰეს“-ში წარმატებით მიმდინარეობს, სამუშაოს 70 პროცენტი უკვე შესრულებულია.

ცალკე წარმოებათა შრომის ნაყოფიერება უახლოვდება ომამდე არსებულის 80 პროცენტს.

წყალსადენი

წყალის მიწოდება ქალაქისათვის 1911 წელთან შედარებით გაიზარდა 34,8 პროცენტით. წყალსადენის შემოსავალი 1925 წლის განმავლობაში უდრის 492,934 მანეთს, გასავალი—427,366 მანეთს.

ტრამვაი

ამჟამად მუშაობს 193 ტრამვაის ვაგონი. ტრამვაის შემოსავალი 1925 წლის განმავლობაში უდრის 1,185,666 მან.; გასავალი—1,050,486 მან.

ფუნიკულიორის შემოსავალი უდრის 8,558 მან., გასავალი—6,966 მან.

ელსადგურები

ნაყოფიერად მიმდინარეობს ელექტრონის სადგურის მუშაობა. ელექტრონის სადგურის შემოსავალი 1925 წლის განმავლობაში უდრის 395,5695 მანეთს, გასავალი 333,624 მანეთს.

სასაკლაო და აბანოები

წარმატება ემჩნევა აგრეთვე სასაკლაოს, აბანოებს და ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილების მუშაობას.

სკოლები

წარმატებით მიმდინარეობს სასკოლო აღმშენებლობა, გამრავლდა სკოლების რიცხვი ქალაქში და მაზრაში.

კამათის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც აღმასკომის პლენუმი დამაკმაყოფილებლად სთვლის აღმასკომის მუშაობას.

განათლების ფრონტზე

ექიმი დავით გედევანიშვილს

40 წლის საექიმო პედაგოგიურ და სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავად იუბილიარის სასარგებლოთ განათლების კომისარიატმა გადასდო 100 მან.

პენსიის დანიშვნა

დამსახურებულ მასწავლებლის ქ. განსს დახმარების სახით დაენიშნა ყოველთვიურად 26 მან.

ქართული მუზფაკულტეტის

სტუდენტთა კლუბის მოსაწყობად განათ. კომისარიატმა პროფესიონალურ განათლების მთავარ სამმართველოს დაავალა გადასდოს 300 მ.

საზღვაო სასწავლებელი

ბათომის ნავთსადგურის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე ბათომში საზღვაო სასწავლებლის გახსნის შესახებ.

ქრონიკა

ამხ. ა. გეგეჭკორის დაბრუნება

საქართველოს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას.

— **ტელეგრაფი სვანეთში.** ა/კ ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატი შეუდგა ტელეგრაფის ხაზის გაყვანას სვანეთში. ხაზი გაყვანილი იქნება ზუგდიდიდან.

— **ელექტრონის მავთული მიწის ქვეშ.** დამთავრდა სავსებით ზაჰესის ელექტრონის მავთულის (კაბელის) მიწის ქვეშ გაყვანა.

ფართლეულობის მიღება. საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილების ცნობით სექტემბერში თბილისში მიღებული იქნება 67 ვაგონი ბამბის ფართლეულობა.

— **ბამბის მეურნეობა.** ამ ჟამად საქართველოში ითვლება 7,270 ბამბის მეურნე.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით ამ დღეებში დამთავრდება მთელ რესპუბლიკაში საგადასახადო ფურცლების დარიგება.

— **მინდვრის მავნეები.** საქ. საგეგმო კომისიის ცნობით მინდვრის თაგვები ყოველწლიურად იძლევიან 1 მილ. მან. ზარალს.

— **ჭაობების ამოშრობა.** ფოთის ჭაობების ამოსაშრობად განზრახულია გაიჩეხოს ჭაობებში მდებარე ტყე.

— **ქორწინება.** იანვრიდან ივლისამდე თბილისში აღმასკომის სამოქალაქო აქტების ჩაწერ განყოფილების მიერ აღრიცხულია ქორწინების 3644 შემთხვევა.

— **ჩაის მეურნეობა.** საქ. საგეგმო კომისიის 5 წლიან გეგმის მიხედვით მომავალ 5 წლის განმავლობაში გაიხსნება ჩაის დამამზადებელი 15 პატარა ქარხანა.

— **მილები წყალსადენისათვის.** წყალსადენმა წელს შეიძინა და დაამზადა 25,000 მან. წყალსადენის მილები.

— **საცხოვრებელი სივრცე.** ნამდვილად თბილისში ერთ სულზე მოდის 13,9 კვად. არშინი საცხოვრებელი სივრცე.

— **საბინაო ამხანაგობების** განკარგულებაში მყოფი სახლებიდან შემოსავალი, ქ. აღმასკომის საბინაო განყოფილების ცნობით, აჭარბებს სხვა სახლების შემოსავალს.

— **საქონლის მალულათ დაკვლა.** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აღმოჩენილი იქნა საქონლის მალულათ დაკვლის 22 შემთხვევა.

— **კურორტებზე გაგზავნა.** დამდეგ თვის პირველ რიცხვებში წყალტუბოსა და ახტალაში გაიგზავნება დაზღვეულ ავადმყოფების მორიგი ჯგუფი.

— **საკავშირო საკურორტო ყრილობაზე** დასასწრებლად უკვე გაემგზავრა დელეგაცია ჯანმრთ. სახ. კომისრის მოადგილის ამხ. აბზიანიძის მეთაურობით. ყრილობა შესდგება პიატიგორსკში.

— **სურამის სუფლითა ვადმყოფთა** საავადმყოფოში ჯანსახკომმა დამატებით მოაწყო 10 საწოლი.

— **ქ. ლომბარდი** საშუალოდ იძლევა 16 მან. სესხად.

ხელოვნება

ფოთის სახელმწიფო დრამა

მომავალ ზამთრის სეზონისათვის ფოთის აღმასკომი უკვე შეუდგა მზადებას. დასის ხელმძღვანელად მოწვეულია იუზა ზარდალიშვილი, რომელმაც უკვე შეადგინა დასი. ჯერ-ჯერობით დასში მიწვეულია შემდეგი მსახიობნი: ალ. ყაღაბეგიშვილი, შალვა ხონელი, შ. ჯაფარიძე, ნინო ჩიხლაძე, ნ. სირბილაძე, ო. ლოლობერიძე, მოკარნახეთ ს. ოკროშიძე, სცენარიუსი ჯაყო ბაზელი. განზრახულია კიდევ რამოდენიმე ახალგაზრდა მსახიობის მოწვევა. დასთან ერთად იმუშავებენ ადგილობრივი ძალებიც. დასი მუშაობას დაიწყებს 1 ოქტომბერს, სეზონი გაიხსნება ოქტომბრის შუა რიცხვებში ტოლერის პიესით—„კაცი მასსა“. აღმასკომის მიერ გადებულია თანხა სცენის შესაკეთებლად და დეკორაციებისათვის.

—

— **ლიტერატურული საღამო.** ხუთშაბათს, საღამოს ექვს საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში გაიმართება ლიტერატურული საღამო, რომელზეც მოწვეული არიან ბეჭდვითი სიტყვის მუშაკები და მუშა-კორესპონდენტები. ამხ. პეტრიაკი გააკეთებს მოხსენებას ლიტერატურულ ახალგაზრდობისა და პროლეტმწერალის ალ. ყაროვის შემოქმედების შესახებ. ლექსებს წაიკითხავენ ალ. ყაროვი, რახილო, შენგელაია და სხვ.

— **სარაჯიშვილის სახელობის ბაღი.** დღეს, 2 სექტემბერს, დიდი კონცერტი საუკეთესო ძალების: რ. ტერიანის, ნილსის, ვენაძის, ელუინიკოვის და სხვების მონაწილეობით. ბაღში სიმფონიური ორკესტრი ვ. შავერზაშვილის დირიჟორობით და მრავალი სხვა გასართობები.

— **განათლების მუშაკთა კლუბი.** კინო: „გადაფრენა მოსკოვიდან პეკინში“ და „მოგზაურობა მდინარე ამაზონკაზე“. სურათების დემონსტრაციის დროს ლექციას წაიკითხავს ამხ. სტრელეცკი.

— **„კვაჭი კვაჭანტირაძე“ სცენაზე.** შალვა დადიანი, რომელიც ამ ჟამად მოსკოვში იმყოფება, სცენაზე დასადგმელად ამზადებს მ. ჯავახიშვილის რომანს: „კვაჭი კვაჭანტირაძეს“. პიესა წარმოდგენილი იქნება მომავალ სეზონში „წითელ თეატრში“.

— **ებრაული წარმოდგენები.** 5 სექტემბრიდან შინა-მრეწველობის კლუბში დაიწყება ებრაული წარმოდგენები.

— **განათლების მუშაკთა კლუბში** დღეს ამხ. სტრელეცკი წაიკითხავს ლექციას კინოზე. შემდეგ ნაჩვენები იქნება კინო სურათები.

შემთხვევები

— **პატიმარის გაქცევა.** 31 აგვ. მე-12 სამილიციო რაიონის სამმართველოს საპატიმროდან გაიქცა პატიმარი ალექსანდრე ოსტროვეცოვიჩი, რომელსაც ბრალდებოდა ქურდობა.

შეპყრობა. 31 აგვ. ღამით სისხლის სამართლის თანამშრომელმა შეიპყრო ვინმე თედორე ივანეს ძე ხარიტელოვი მოპარული ნივთებით.

— **ქურდობა.** 31 აგვ. დღით სირინოვის ქ. № 5 გაქურდეს ვერა მხეიძის ბინა. წაღებულია 75 მან. ნივთები.

— ამავე დღეს სიმონოვის ქ. № 5 გაქურდეს არშაკ შამოევის ბინა. წაღებულ ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

მუშათა ცხოვრება

ასეთი მდგომარეობა მიუღებელია

(მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხებიდან)

ყველამ ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მუშებისათვის ახალი ყოფა-ცხოვრების საკითხებს; ამაზე ბევრიც დაიწერა, დაიწერება კიდევ ბევრი, მაგრამ ფაქტიურად კი გაკეთდა სულ ცოტა, რომ არა ვსთქვათ სულ არაფერი. ძველი საზოგადოებრივი, თუ ოჯახური ადათ-წესები ისე მტკიცედ შეზრდილია ჩვენი მუშის ოჯახში, მის ზნე ჩვეულებაში და ყოველდღიურ საქმიანობაში, რომ მუშის ოჯახის განახლება-გარდაქმნისათვის აუცილებლად საჭიროა უფრო რეალური და მიზანშეწონილი ზომების მიღება, ვიდრე ეს დღემდის იყო.

უკვე ჩვენთვის ცხადია, რომ მუშის ოჯახის ძველ ნიადაგზე და ძველ ზნე-ჩვეულებებში დატოვება ყოვლად მიუღებელია, ვინაიდან ასეთი ოჯახების საშუალებით ჩვენ ვერასდროს ვერ შევქმნით ვერც ახალ თავისუფალ მეუღლეობას და ვერც ახალ სოციალისტურ საზოგადოებას.

საზოგადოების განახლება, მისი გარდაქმნა, აუცილებლად და მტკიცედ დაკავშირებულია კერძო ცხოვრების—ოჯახურ ცხოვრების განახლებასთან აქ კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით თითქმის ვერავითარ ასეთი განახლების ნიშნებს ვერ ვპოულობთ. ჩვენი მუშების ცოლშვილი, მთელი მისი ოჯახი და თვით ჩვენი მუშა, თავის ოჯახში ცხოვრობს ისე, იმ სახით, იმ წესით, როგორც ცხოვრობდნენ მისი წინაპრები 100—200 წლის წინეთ.

უმეტესი ნაწილი ჩვენი მუშებისა დღესაც ისე ხვდება რელიგიურ და სხვა ზნე-ჩვეულებებს, როგორც ძველად 300—500 წლის წინედ, თუმცა ისინი ღრმად დარწმუნებული არიან მასში, რომ ყველაფერი ეს არის ცრუ-მორწმუნეობა და სრულიად უვარგისი რამ. კვირა-უქმე დღეებში ბევრი მუშა მამა-პაპურად ღარიბ, თუ მდიდარ სუფრაზე, ღვინოს და არაყს შეექცევა, ლოთობს, ჩხუბობს, იგინება საშინელი და ბინძური სიტყვებით, ხშირად უხეშად და სასტიკად ეპყრობა თავის მეუღლეს და შვილებს. არის მაგალითებიც, რომ ის კიდეც სტოვებს მათ ულუკმაპუროდ და ქუჩებზე გარყვნილ ქალებს დაეძებს.

ასე, ამრიგად ბევრი მუშა ირყვნება ზნეობრივად და ნადგურდება ეკონომიურად და მისი ჯანმრთელობაც კი ბეწვზე ჰკიდია. მას ეკარგება შრომის უნარიც. ის მუშაობის დროს ზარმაცობს, ცუღლუტობს, იგონებს ათასგვარ ავადმყოფობას, ხშირად ექიმებთან დადის, იპარავს სამუშაო საათებს, იღებს „ბიულეტენებს“ „ავადმყოფობის გამო“, მიდის სხვადასხვაგვარ შვებულებაში და ასე გაურბის სამუშაოს.

ასეთი მუშა არც წარმოებას გამოადგება და პატიოსანი, მუყაითი, მუშების სახელის გამტეხიცაა.

ამიტომ ამ დახავსებულ, ჩვენი მუშების დამღუპველ ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ ჩვენ უნდა მივიღოთ სათანადო ზომები გარდა წმინდა კულტურული მუშაობისა თვით მუშებში.

ყოველი შეგნებული მუშა ჩვენ ამ საქმეში დაგვეხმარება, შეუგნებელი კი ან როლისმე შეიგნებს ამ უბედურებას, ანდა შერცხვენილი ძლეული დარჩება და პატიოსან მუშათა რიგებიდანაც გაიდევნება.

ლენინელი.

მადლობის ღირსია ასეთი ექიმი.

თვალის სნეულებათა ინსტიტუტში მუშაობს ექიმი ტარასი ონისიმეს ძე ნიკოლაიშვილი, რომელმაც თავისი დაუღალავი შრომით და ფაქიზი მოპყრობით თავი შეაყვარა და განსაკუთრებული პატივისცემა დაიმსახურა როგორც ავადმყოფთაგან, აგრეთვე ინსტიტუტის თანამშრომლებისაგან.

ექიმი ნიკოლაიშვილი მთელი დღის განმავლობაში ეწევა დაუღალავ შრომას; საღამოობით კი იგი მიუჯდება მწოლარე ავადმყოფებს გვერდში და აძლევს სათანადო რჩევა-დარიგებას.

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ეს ექიმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროვინციიდან ჩამოსულ ღარიბ გლეხობას, რომელთაც არ იციან გზა-კვალი, თუ ვის მიმართონ სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად. ამხ. ნიკოლაიშვილს მთელ ზაფხულს უხდება ზედმეტი მუშაობა; მას უხდება ყოველ დღე მორიგეობა, რადგან ინსტიტუტის სხვა ექიმები გაგზავნილნი არიან საექიმო მფრინავ რაზმში და ზოგნიც შვებულებაში იმყოფებიან.

პ. გელიაშვილი.

გამოგზავნილი წერილებიდან

დაიცავით სისუფთავე. მე-6 და მე-7 შეერთებულ უბანში „შავსოფლის“ ქუჩები უყურადღებობის გამო ძალიან უსუფთაო და გაბინძურებულია.

სანიტკომისიავ, მიიღე ზომები.

მუშკორი ალ.—ბელი.

—

ლოთიცაა და უხეშიც. ტყავტრესტის ქარხნების ფეხსაცმელთა განყოფილებაში მუშაობს ვინმე მიშა გიკაშვილი, რომელიც სისტემატიურად ლოთობს, ლანძღავს მუშებს და მოსვენებასაც მათ არ აძლევს.

ადგილკომო, ყური აუწიე.

მუშკორი ა. ბე—შლი.

ეს ავარები სახელს გვიტეხენ. თბილისის სადგურზე ამ ბოლო დროს აღმოჩნდა ბევრი „ბარგის გადამტანი“ („ნოსილჩიკი“), რომელთაც ნომრები არ აქვთ, სინამდვილეში კი ის ვაჟბატონები არიან ქურდ-ბაცაცები, რომლებიც „ბარგის გადამტან“ პატიოსან მუშის სახით ევლინებიან მგზავრებს, სტყუებენ მათ ბარგ-ბახაკებს და შემდეგ ბარგებით იპარებიან.

ჩვენ, პატიოსან მტვირთველ მუშებს სახელს და ნდობას გვიკარგავენ ეს ბოროტი ავარები.

მიიღეთ მათ ასალაგმავად სათანადო ზომები!

მუშკორი გ. დანდუროვი.

—

სახლისპატრონის უთავაზულობა. პურის მოედანზე სახ. № 6-ში სცხოვრობს ღარიბი ახალგაზრდა ქალი სუსანა ზახ. თუმანიანცი, რომელიც იმყოფება თავის დის (საბჭოთა მოსამსახურე) კმაყოფაზე.

ამხ. სუსანას მიუხტა სახლის პატრონი და საშინლად სცემა; საძაგელი სიტყვებით აგინებდა და ლანძღავდა საბრალო ქალს გამხეცებული სახლის პატრონი.

საჭიროა ეს ბოროტი კაცი მოარჯულოთ!

მუშკორი განი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 43

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

აგვისტოს 27, 1925 წ.

სილიკატურ ნაკეთობაზე ზედნართის დაწესების შესახებ.

თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის ა. წ. აგვისტოს 27-ს დადგენილებისა, № 51, და შესაცვლელად ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის ა. წ. მაისის 11-ს დადგენილებისა № 32, ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1. „პროდსილიკატის“ თბილისის განყოფილების და „ნოვტრესტორგის“ თბილისის განყოფილების საწყობებიდან სილიკატურ ნაკეთობათა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის ბითუმად გაყიდვის დროს დაწესებულ იქნეს ზედნართი 20 პროც. რაოდენობით სინდიკატის იმ ფასებზე, რაც დაწესებულია სოც. საბჭ. რესპ. კავშირის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ.

2. ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილებას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

3. ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისმგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში გამყრელიძე.

სამმართველოს მდივანი აბესაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 2 სექტემბერს, დილის 8 საათზე გაიმართება თბილისის კომიტეტის ცენტრალურ საშეფო ბიუროს სხდომა.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: 1. ბუხნიკაშვილი, 2. კერესელიძე (ქალაქის რაიონი), 3. ადიკაშვილი, 4. ჯავახიძე (ახალგ. ლენ. კომკავშ. ქალაქის რაიონი), 5. შავლაძე, 6. როზან, 7. ზარიკაშვილი, 8. ცინცაძე, 9. ანდღულაძე, 10. ბლიუმზაკი. უნდა დაესწრონ აგრეთვე საშეფო ბიუროების თავმჯდომარეები.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს ა/წ. 3 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მე-3 რაიკომის ბინაზე გაიმართება და ყარაიაზის საშეფო საზოგადოების ცენტრალურ გამგეობის საერთო კრება ადგილობრივ გამგეობასთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. ყარაიაზის აღმასკომის თავმჯდომარის მოხსენება თემში მუშაობის შესახებ.
2. ადგილობრივ გამგეობათა ინფორმაცია შესრულებულ მუშაობის შესახებ.
3. სხვადასხვა.

3. ტ. ს. უჯრედების ცენტრალურ გამგეობის და ადგილობრივ გამგეობათა ყველა წევრების და კანდიდატების, აღმშენებელ მუშათა, მტვირთავ და ამიერ-კავკასიის ბამბის კომიტეტის და მაკარონის ფაბრიკის მუშათა დასწრება სავალდებულოა.

სოფლად

ახალი აგარაკი.

ლეჩხუმის მაზრაში ქ. ცაგერიდან დასავლეთით 12 ვერსის მანძილზე დაარსდა ახალი აგარაკი „ახალ-ქალა“, რომელიც თავისი ბუნებრივი სიმდიდრე-სილამაზით არ ჩამოუვარდება ბევრ სხვა დიდ ცნობილ აგარაკებს.

ეს აგარაკი 4—5 კვადრატიული ვერსის მანძილზე ლამაზი და დიდრონი ფიჭვ-ნაძვნარი ტყით არის შემოსილი. შუა ტყეში დაახლოებით 1,5 კვადრატიული ვერსის მანძილზე არის მწვანე ბალახით გაშლილი ვაკე. ამ ვაკის თავში სოდანარევი რკინის წყალი იმყოფება, გვერდით იქვე ჩამოდის წმინდა მოკამკამე მდინარე „ჯონოული“ რომლიდანაც ბუნებრივად არის გაკეთებული რამდენიმე საბანაო.

წელს ლეჩხუმის გლეხკომის ინიციატივით ამ აგარაკზე აშენდა რამდენიმე ოთახი, რაშიაც თანხა საკმაო რაოდენობის დახარჯულა და ოთახები კი უვარგისია. საჭიროა მომავალ წლისათვის რამოდენიმე ოთახის მომატება, ვინაიდან ჯერ კიდევ [illegible] ამ აგარაკს [illegible] იცნობს, ბლომად მოდიან მოაგარაკეები.

ახალ-ქალაში არის სასადილო, რომელიც არსებითად სამიკიტნოა. აქ მხოლოდ ღვინო იშოვება და სხვა არაფერი. მეჯოგეები რომ არ ჰყიდდენ რძის ნაწარმოებს და სოფლებიდან (რომლებიც 7 ვერსის მანძილითაა დაცილებული აგარაკიდან) ცოტა არ შემოჰქონდეთ, ამ სამიკიტნოს შემყურე მოაგარაკე იძულებული იქნებოდა სახლში დაბრუნებულიყო.

მომავალ წლიდან საჭიროა კარგი სასადილოს მოწყობა.

აგრეთვე მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საურმე გზის შეკეთებას და ტყის მოვლა-დაცვას, რომელსაც მაზრის სატყეოს უფროსი სრულიად ყურადღებას არ აქცევს და სოფლელები ასეთ ბუნებრივად შესანიშნავ ტყეს სჭრიან და ანადგურებენ.

გ. ხეცურიანი.

არავითარი შენანიება სამკითხველოს ავაზაკებს

ლეხაურის თემის სამკითხველოში თითქმის ყველა დარგიდან მოიპოვება წიგნები. საზოგადოებაშიც დიდი მოთხოვნილებაა ყოველი სახის ლიტერატურაზე, მაგრამ ზოგიერთ არამზადა მკითხველის წყალობით წიგნების სახლში საკითხავად წაღების საქმე რთულდება.

ადგილი აქვს შემდეგს: წიგნებიდან იპარავენ სურათებს, კარგს წერილების მთელ კინძს, ჯღაბნიან წიგნებში თავის სახელ და გვარს, წიგნების ავტორებს ჯღაბნით უწუნებენ და უწონებენ მათ ნაწარმოებს.

სამკითხველოს გამგეს ამით ურთულდება საქმე. წინეთ თუ შეეძლო დღეში 15—20 წიგნი მიეცა და გაეშვა, ეს დღეს აღარ ძალუძს, ვინაიდან გაშვებისა და მიღების დროს თითო ფურცლობით ათვალიერებს წიგნებს.

ასეთ სამარცხვინო მოღვაწეობის წინააღმდეგ არის მიღებული ზომები.—არავითარი შენანიება ლიტერატურის ავაზაკებს. ისინი სასტიკად უნდა დაისაჯონ.

ჩაკუჩი.

წერილებიდან

ლიტერატურული საღამოები ქანაურში. ს. ქანაურში (ოზურგ. მ.) ყოველ შაბათობით იმართება ლიტერატურული საღამოები. ადგილობრივი ინტელიგენცია უკითხავს დამსწრე გლეხებს ჟურნალ-გაზეთებს და აცნობს მათ სხვადასხვა კითხვებს. საღამოზე იმართება სჯა-ბაასი, რომელშიაც გლეხები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ.

ა. ოხიპოვი.

—

კომისიას სძინავს. ს. წილკანში ძალიან ბევრი უმიწა-წყლო გლეხებია. ამავე დროს არიან ისეთებიც, რომლებსაც 15 დესეტინამდე სახნავ-სათესი აქვთ. გლეხკომმა მრავალჯერ მიმართა მაზრის მიწის კომისიას, რომ დაეჩქარებიათ მიწათმოწყობის საქმე წილკანში, მაგრამ დღემდისაც არაფერი ისმის. სძინავს კომისიას სალათას ძილით.

მეზობელი.

—

ერთის გაკეთებაში მეორე ფუჭდება. ხონის მიდამოები დასერილია სარწყავი არხებით და ყანებში წყალი საკმარისადაც არის, მაგრამ ცუდი ისაა, რომ დაუდევრობის გამო წყლები აფუჭებს საყანე გზებს. ამ მხრივ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია ივანდიდი და ხონის ყველა უბნები. მერაბი და თვიური მეჯვრეები ამას ყურადღებას არ აქცევენ.

ს. ნინაშვილი.

—

ამერიკულ ყაიდის ინსპექტორი. ზუგდიდის განათლების ინსპექტორ გოგიას შეეკითხა რამდენიმე მასწავლებლები და მოწაფეთა თანდასწრებით, როდის იქნება დანიშნული გამოცდები-მეთქი. მან კითხვა იუკადრისა და შემომიყვირა, პანღურით გასასტუმრებელი ხარო. მეორე დღეს ბოდიში მოიხადა ჩადენილის გამო და განაცხადა: „ამერიკაში ქუჩაში მიმავალ კაცს რომ დაუძახო, დაგაჯარიმებენ, რადგან ის ფიქრშია გართული და შენ ხელს უშლიო“. საინტერესოა ვიცოდეთ საიდან გაიგო ეს ამერიკული ჩვეულება უდიერმა გოგიამ, ან ვინ მისცა მას ნება „ამერიკული“ რეჟიმი დაამყაროს მასწავლებელთან დამოკიდებულებაში?

მასწავლ. ბაგრატ კვარაცხელია.

სოფლის ქრონიკა

— **პროფესიონალური მუშაობა** თელავის პროფკავშირმა დაადგინა წინანდალსა და ნაფარეულში დაარსოს რაიპროფკავშირები. გეგმა დასამტკიცებლად წარედგინა სრ. საქ. პროფკავშირთა საბჭოს.

— **სიმინდის გაძვირება.** ზესტაფონში კოოპერატივებში სიმინდის გამოლევის გამო, ბაზარზე ფასებმა აიწია. ამ ჟამად ფუთი სიმინდი 2 მან. 40 კ. ღირს.

— **ხაშმის აგროპუნქტმა** დაამზადა სხვადასხვა ჯიშის ხილეულობის 7.000 ძირი ნამყენი.

სოფლის ფოსტა

ხანგრძლივ სტუმარს (საჩხერე). გაგონილ და გადმოცემულ ამბებზე აგებულ კორესპონდენციას რედაქცია არ ბეჭდავს.

კანენს (ლანჩხუთი). ფაცურიას წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება უარყოფილი იქნება, თუ ამას დაგვანახვებს გამოძიების შედეგი.

საქ. კომპარტიის ლენინის რაიკომის სააგიტ.-საპროპაგ. განყოფილება წინადადებას აძლევს როგორც რუსული, ისე ქართული სააგიტ.-წრის ყველა წევრებს გამოცხადდნენ ოთხშაბათს საღამოს 6 საათზე საბჭოთა მოსამსახურეების კლუბში.

დღის წესრიგი:

ამხ. კარკლინის მოხსენება

საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ

ვინაიდან ეს საკითხი დაყენებული იქნება ერთიან პარტიულ დღეს, ამიტომ სააგიტ.-წრის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

სააგიტ.-საპროპ. განყოფ. გამგის მოადგ. შავლაძე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქართულ მუზფაკის კომუჯრედების გაერთიანებული ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 2 სექტემბერს ქართულ მუზფაკის შენობაში (სამოსწავლო შესახვევი № 4—2) შესდგება საღამოს სრულ 5 საათზე ქართულ მუზფაკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედების გაერთიანებული ბიუროს მორიგი სხდომა. ამისათვის ყველა წევრი და კანდიდატები ზემოხსენებულ ბიუროებისა, რომლებიც არიან თბილისში დარჩენილი, უნდა გამოცხადდნენ აღნიშნულ ადგილ დაუგვიანებლად.

ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, დღეს, 2 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე პლეხანოვის კლუბის შენობაში შესდგება საერთო კრება ოჯახის, მუშა და მოსამსახურე ქალების.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ყველა ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ ხუთშაბათს 3 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე სარაიონო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე (ქალაქის რაიკომის შენობაში) კომპარტიის კანდიდატებად დასამტკიცებლად და კანდიდატობიდან პარტიის წევრებად გადასარიცხავად.

1. მღებრიშვილი ევა, 2. კამალოვი ავეტიკ, 3. ვიდულოვი ანტონი, 4. მორბელაძე დიმიტრი, 5. ზრატიშჩევი ნიკოლოზ, 6. ტრეკოვი გრიგოლ (უჯრედი № 1). 7. ქინქარაძე ალექსანდრე, 8. გუტკიკაშვილი ალექსანდრე—(უჯრედი № 2), 9. ზეგანიშვილი აბრამ, 10. კარაპეტოვი დავით, (უჯრედი № 3), 11. ავეტიკოვი ნიკოლოზ, 12. ცგამლიანი თამარ (უჯრედი № 4), 13. ჯაში უშანგი, 14 კოვალენკო ანასტასია (უჯრედი № 5) 15. ივანოვი ალექსანდრე, 16. ჯინჭველაშვილი გიორგი (უჯრედი № 6), 17. მაისურაძე გიორგი, 18. სარქისოვი არტემ (უჯრედი № 7), 19. არუთიუნოვი აბრამ (უჯრედი № 9), 20. აბრამოვი ერაქელ, 21. ვოროტნიკოვი ვასილ (უჯრ. № 10), 22. არაქელოვი ეგორ, 23. გალკინა ალექტინა (უჯრ. № 12), 24. ამბარცუმოვი სარქის, 25. მხიტარიან ელენა (უჯრ. № 15), კობახიძე ილო, 27. ხულურდავა არსენ, (უჯრედი № 16) 28. პატარიძე ნიკოლოზ, 29. სარქისოვი ბიქტორ (უჯრ. № 17), 30 გორბელევი სამსონ, 31. ყამარული სოფიო, 32. ჯანიაშვილი ნიკოლოზ (უჯრ. № 17), 33. კობერიძე მალაქ. (უჯრედი № 16), 34. ჯოჯუა ლეონ, 35. ცომაია პავლე (უჯრ. № 17), 36. მუსიევა ანა (უჯრ. № 20), 37. ლობალენკო სერგო (უჯრ. № 22), 38. სომხიევი გიორგი, 39. აკულიანი არტემ, 40. მუსერიძე კონსტანტინე (უჯრ. № 25), 41. ეგიაზაროვა ანაიდა, 42. კუზნეცოვა ლიუდმილა (უჯრ. № 27), 43. ზარდალიშვილი ივანე, 44. გრიგორიან ტიგრან (უჯრ. № 30) 45. ატარმეკოვა ემმა (უჯრ. № 31), 46. ავეტისოვი გიორგი, 47. ტანაკანოვი სტეფანე, 48. მენთეშაშვილი მარიამ (უჯრ. № 32), 49. მაღულარია სევერიან, 50. ქილარჯიშვილი დავით (უჯრ. № 34), 51. ბასილაკოვი ნიკოლოზ, 52. მანგუშევი აბდურახმანი, 53. [illegible]მილოვი დავით, 54, გამინოვა ნინა (უჯრ. № 36), 55. ვერბოვსკი იაკობ (უჯრ. № 40), 56. კრულ ფრანცისკო (უჯრ. № 41), 57. ლოსაბერიძე დავით (უჯრ. № 46), 58. პასკანიან გარეგინ (უჯრ. № 53). 59. ბარცე[illegible] სერგი, 60. სტეპანოვი ანასი (უჯრ. № 54).

სარაიონო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის
მაგიერ—სტ. აკოპოვი.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ტრაპაიძესთან.

1. ტანიეშვილი აბესალომ, 2. სავაგიშვილი არშაკ, 3. ნანეიშვილი პავლე, 4. კულიევი რიზა-ბაბა, 5. ტურქესტანოვა რუსუდანა, 6. გამონ ალექსანდრე, 7. ორესიანც ივანე, 8. ბაბაიანი ანდრია, 9. გუჩმაზოვი ზაქარია.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 2 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომის შენობაში გაიმართება ქალაქის რაიონის აგიტ-პროპ. ორგანიზატორთა თათბირი.

ქალაქის რაიონის უჯრედების ყველა აგიტ.-პროპ. ორგანიზატორთა დასწრება სავალდებულოა.

სარაიონო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ **სტ. აკოფოვი.**

სია კომკავშირის იმ კანდიდატების, რომლებიც გამოწვეულნი არიან კომკავშირის თბილისის კომიტეტის ორგკოლეგიაში.

1. პოლოსოვი, 2. ლობანოვი, 3. ისააკიანი, 4. სტეფანიანი, 5. დენისენკო, 6. ზენტიკი, 7. ვერეაშვილი, 8. კაუფმანი, 9. იაკომიჩკი, 10. ბახჩაიანცი, 11. არუთინოვი, 12. დეკანოზიშვილი, 13. ჩიჩუა, 14. აპიანი, 15. დეშკინა, 16. ნესტეროვა, 17. სევერუხინა, 18. ნადირაშვილი, 19. მურადოვი, 20. სტიხიინა, 21. ალექსანდერი, 22. ტალიანა, 23. გრინშტეინი, 24. ანტონოვა, 25. გენსკი, 26. უცლაძე, 27. ტრუდკოვი, 28. კოგანი 29. ამირთანოვი, 30. ზაქარიანი, 31. მარქევი, 32. მხიტარიანი, 33. ქურხული, 34. მარკარიანი, 35. სარიბეგოვი, 36. გიცნაშვილი. 37. ფალავანდიშვილი, 38. ბაირამოვი, 39. აბდულაევი, 40. ბაბაევი, 41. ალიევი, 42. ბუაჩიძე, 43. ციტლანაძე, 44. უეერიავა, 45. მინდიაშვილი, 46. ვადზიკი, 47. ბოგათუროვი. 48. იაკოვლევა, 49. მელაძე და 50. ციურატოვა.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 3 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 96) გაიმართება საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

რაიკომის პრეზიდიუმის ყველა წევრთა დასწრება დაუყოვნებლად სავალდებულოა.

მდივნის მაგ. **წითლაძე.**

დღეს, 2 სექტემბერს, დღის 9 საათზე თბილისის კომიტეტის შენობაში გაიმართება **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.**

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება.

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი **იუწყებს**, რომ დღეს, 2 სექტემბერს, დღის 1 საათზე, კომკავშირის თბილისის კომიტეტის შენობაში (რუსთაველის პრ. № 20) გაიმართება საქ. ახ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

წინადადება ეძლევა საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრებს და აგრეთვე ყველა ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დანიშნულ დროზე დაუგვიანებლად.

საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე **გობეჩია.**

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი—ევა არტემის ასული შავერდოვისა, და—ანნა იოსების ასული ტერ-ტეროვისა, ქალიშვილი—ნატაშა გიორგის ასული თავის ქმრით სერგო პეტრეს ძე ტერ-პეტროსოვები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 31 აგვისტოს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და უსაყვარლესი

სანდრო იოსების ძე შავერდოვი

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 3 ენკენისთვეს ქიათურაში

1—1 ნ. 2440.

ამიერ-კავკასიის კბილის ექიმთა ყრილობისათვის

საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი თბილისის კბილის ექიმთა საზოგადოებასთან ერთად იწვევს

კბილის ექიმთა ყრილობას

ყრილობა გაიხსნება პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში 15 სექტემბერს დილის 10 საათზე.

საერთო საცხოვრებელი ჩამოსულ დელეგატებისათვის მოწყობილია მუშათა სასახლეში. ჩამოსულ ამხანაგებს შეხვდებიან მორიგი ამხანაგები.

ნ. 2449 3—1. **ყრილობის მომწვევი კომისია.**

ჩვენი მეკვეთით ქართულ ენაზე უკვე ადგენენ

ენციკლოპედიურ ლექსიკონს

მსგავსად „ლარუსის“, „მაიერ-მიულლერისა“, „ენციკლოპედია ბრიტანიკა“, უფრო კი „ბროკჰაუზ-ეფრონისა“ და მის გამოცემას მოკლე ხანში შეუდგებით.

თანამედროვე ენციკლოპედიური ლექსიკონი მიზნად ისახავს ფართო მასსას მიაწოდოს ყოველგვარ ცოდნის წყარო, რაც კი დასჭირდება მას გონებრივი მუშაობის დროს. ასეთი ლექსიკონის დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს ქვეყანაში.—ვინაიდან ეხლანდელ დროში, როდესაც მეცნიერების დარგთა სასტიკი დიფერენციაცია მოხდა, არავის შეუძლიან თავი შეიქოს უნივერსალური ცოდნით. აი, ასეთს შემთხვევაში ქართული ლექსიკონი დაუყოვნებლივ აღმოუჩენს დახმარებას ანბანზე დალაგებულ საჭირო მასალების მიწოდებით. მარტივი გადმოცემა, პრაქტიკული ცოდნა და ფაქტების სიუხვე,—აი რა ახასიათებს ამ ლექსიკონს!

მკითხველი ამ ლექსიკონში იხილავს უმთავრესად შემდეგს დარგებს:

1. განყოფილება—**ფიზიკო-მათემატიკური:**—მათემატიკა, მექანიკა, ასტრონომია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია.

2. **ბუნებისმეტყველება:** ზოოლოგია, ბოტანიკა, მინეროლოგია, გეოლოგია, პალეონტოლოგია.

3. **ტეხნიკური:** პრაქტიკული მექანიკა, მექანიკური ტეხნოლოგია, ქიმიური ტეხნოლოგია, ელექტროტეხნიკა, ამშენებლობა და საინჟინრო ხელოვნება, სამთო საქმე და სხვ.

4. **სასოფლო-სამეურნეო:** მიწათმოქმედება, მევლეობა, მეტყეობა, აგრონომია, საქონლის მოშენება ბეითლობა და სხვ.

5. **სამკურნალო:** მედიცინის ისტორია, ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია, შინაგანი და სხვა ავადმყოფობანი, ბაქტეოროლოგია და გადამდები სნეულობანი, ქირურგია, პირველი დახმარების აღმოჩენა, ჰიგიენა, სასამართლოს მედიცინა, ალკოჰოლიზმი.

6. **ანტროპოლოგო-გეოგრაფიული:** ფიზიკური გეოგრაფია, მეტეოროლოგია, გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორია, გეოგრაფია, ანტროპოლოგია, ეთნოგრაფია.

7. **ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის ისტორია:** ამ დარგში ფართო ასპარეზი ეთმობა უფრო ქართულ ენას და ლიტერატურას, ვიდრე უცხოეთისას. აქ უცხო მწერლობასთან, ლიტერატურასთან და მეცნიერებასთან ერთად განხილულ იქნება ქართული ლიტერატურა, მწერლობა, მეცნიერება დეტალურად.

8. **ისტორიული:** საზოგადო ისტორია, კულტურის ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნების ისტორია, ქართველი ერის ისტორია.

9. **ფილოსოფიური:** ფილოსოფია, ლოღიკა, პსიქოლოგია, ეთიკა, პედაგოგიკა.

10. **იურიდიული:** საზოგადო უფლების მეცნიერება, სამოქალაქო და სავაჭრო უფლება და სასამართლო, სისხლის სამართლის უფლება და სასამართლო, ეკლესია და სახელმწიფო, ადმინისტრაცია, საერთაშორისო უფლება, სოციოლოგია.

11. **ეკონომიური:** პოლიტიკური ეკონომია და სასოფლო-სამეურნეო ეკონომია, სტატისტიკა, საფინანსო უფლება.

12. **სახალხო-მეურნეობა:** სამთო-საქარხნო მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, აგრარული საკითხი, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა, ვაჭრობა, მუშათა საკითხი, შემნახველი კასსები, სასოფლო წვრილი კრედიტი, კოოპერაცია, მომხმარებელი საზოგადოებანი, გზები, გადასახლებანი, კოლონიზაცია.

უდიდესი ყურადღება ექნება მიქცეული ყველა იმ საკითხებს, რაც კი საქართველოს შეეხება. რედაქციის განსაკუთრებული ყურადღება იქითაა მიქცეული, რომ ყოველგვარი ცნობა მიაწოდოს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა ნიადაგის შესახებ, ჰავაზე, ტოპოგრაფიაზე, მადნეულობაზე, წარსულს და აწმყო ისტორიაზე, მოსახლეობაზე, ჩვენს კულტურაზე, აგრედვე ლიტერატურის შესახებ უახლოეს ხანამდე, ჩვენს საზოგადოებრივ—სახელმწიფო ცხოვრებაზე, მეურნეობაზე და სხვ.

ენციკლოპედიაში უხვად იქნება მიცემული სურათები, გრავიურები და რუქები.

ენციკლოპედიური ლექსიკონი გამოვა ტომებათ ორ თვეში ერთხელ. თითეული ტომი ორ-ორი წიგნისგან შესდგება, სამასი გვერდის კვალობაზე, სულ გამოვა 18 წიგნი.

გამოცემა დასრულდება სამი წლის განმავლობაში, სახელდობრ 1929 წ. პირველ იანვრისათვის.

ენციკლოპედიურ ლექსიკონის შედგენის დროს მოხმარებული იქნება ყველა ევროპიული ლექსიკონები (ლარუსი, მაიერ—„ენციკლოპედია ბრიტანიკა“) უმთავრესად ბროკ-ჰაუზი. უახლოესს თანამშრომლებად რედაქცია იწვევს როგორც ჩვენს საუკეთესო სამეცნიერო ძალებს, ისე ევროპიელ მეცნიერთ.

პირველი ტომის პირველი წიგნი გამოვა იანვარში, 1926 წელს.

გამოცხადებულია წინასწარი ხელის მოწერა.—**18 წიგნი ღირს 36 მანეთი.** ხელისმომწერნი პირველად შემოიტანენ **სამ მანეთს,** ხოლო შემდეგ **თითოეულ წიგნის მიღებისათანავე თითო მანეთს,**—მაშასადამე უკანასკნელ სამი წიგნის ფასის გადახდა არ დასჭირდებათ.—ბაზარზე გამოსვლის შემდეგ წიგნი ღირება 50 მ. და ფულის შემოტანა საჭირო იქნება ერთად.—გამომცემლობის მისამართი:

რუსთაველის 12. რედაქტორების და თანამშრომლების სახელი და გვარი ერთ კვირაში იქნება გამოცხადებული.

1—1 ნ. № 1657

ქ. ზესტაფონში ქირავდება ყურძნის საწურავი მარანი

თავის ყოველივე მოწყობილობით. 2400 ვედროს ჭურჭლით. მზათ იქვე მარანში არყის სახდელი მოწყობილობით და თავის ოთახით.

ალექსანდრე ხვანიშვილი.

ნ. 1659 1—1.

ა.-კ. რკ.-გზ. ჯანმრთელობის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 3 სექტემბერს 1925 წ. ჯანმრთელობის სამმართველოში პლეხანოვის პრ. № 142 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

საავადმყოფოებისათვის ასი ფუთი ბუმბულის მიწოდების შესახებ. იმ პირთ, ვისაც სურთ მიიღონ საჯარო ვაჭრობაში. მონაწილეობა, უნდა წარმოადგინონ თავისი პირობები ჯანმრთელობის სამმართველოში დაბეჭდილ კონვერტში და თან უნდა იქნეს ნაჩვენები ფასი, აგრეთვე ნიმუში ბუმბულისა.

ა.-კ. ფ. ს. რ. ჯანსახკომ. რწმუნებულის მოადგილე ა.-კ. რკ. გზის ჯანმრთელ. დაცვის დარგში **შავერდოვი** ნ. 1649 2—2

ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა.-წ. 11—15 სექტემბრამდე

დილის 10 საათიდან თბილისის სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქუჩა)

აუქციონით გაიყიდება

ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავი ტვირთები და ბარგი.

მეორე საჯარო ვაჭრობა დარჩენილ ტვირთების გასასყიდათ დანიშნულია იქვე 16—18 სექტემბრამდე.

ქვემოდ აღნიშნულია საბარგო ფურცლების ნომრები, ტვირთი, ადგილების რიცხვი და წონა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში სამსახურის დროს, ხოლო ვაჭრობის დღეს ასეთის დაწყებამდე.

1 მოუკითხავი ტვირთები

№ 82158—ნაბადი 1 ადგ. 55 კილოგ. № 48947—შუშის ჭურჭელი 2 ადგ. 85 კილოგ. № 118721 სალესი ქვა 7 ადგ. 1789 კილოგ. № 118726—სალესი ქვები 7 ადგ. 1764 კილოგ. № 76060—ფქვილი ხორბლის 1 ადგ. 87 კილოგ. № 47722—ბოთლები შუშის ცალ. № 270130—ვინტები რკ. 1 ყუთი 66 კილოგ. გასა[illegible] რკინის 1 ყუთი 236 კილოგ. № 38794—მჭვარტლი 12 ბოჭკა, 970 კილოგ. № 107089—სიმინდი 2 ადგ. 155 კილოგ. № 71743—გიგროსკ. ბამბა—3 ადგ. 138 კილოგ. № 8106—ფოტო-კარდონი 2 ყუთი 11 კილოგ. № 8241—მელანი 2 ყუთი 119 კილოგრ. № 14862—ფქვილი სიმინდის 1 ადგ. 69 კილოგრ. № 43048—საღებავი სტამბ. 24 ყუთი 1016 კილოგრ. № 1082—საშინაო ნივთები 2 ადგ. 72 კილოგრ. № 47101—ხის სათამაშ. 1 ადგ. 31 კილოგრ. № 202145—საშინ. ნივთ. 4 ადგ. 250 კილოგ. № 6119—რკინის მარყუჟები—9 ყუთი 923 კილოგრ. № 41564—ბლანკები ძველი 27 ადგ. 1542 კილოგ. № 47184—სათამაშოები—2 ყუთი 182 კილოგრ. № 16768—წიგნ. დაბეჭდ. 1 ადგ. 26 ადგ. № 64360—რკინის ნაწარმ. 1 ყუთი 61 კილოგ. № 1124 ჩაქუჩის ტარები რკინის 1 ადგ. 34 კილოგრ. № 247333—წიგნები დაბეჭდ. 1 ადგ. 20 კილოგ. № 19932—წიგნები დაბეჭდ. 2 ადგ. 65 კილოგრ. № 175511—სპილენძის ნაწარმ. 20 ადგ. 1714 კილ. № 81858—ხორბალი 1 ადგ. 44 კილოგ. ბარი 1 შეკვრა 21 კილოგ. № 149490 ქვამარილი 1 ვაგ. 16135 კილოგრ. № 175512—სპილენძის ნაწარმ. (ლოპასტი) 6 ყუთი 867 კილ. № 1422750—სასწორი ქიმ. 1 ადგ. 31 კილოგ. № 676 სხვადასხვა № 81985—ფქვილი 50 ადგ. 3863 კილოგ. მუხის „კლიოპკები“—2058 ცალი წიფელის—23866 ცალი.

2 მოუკითხავი ბარგი

№ 221201—ღვინო 1 ადგ. 45 კილოგრ. № 25178—ბარგი 1 ადგ. 27 კილოგ. № 250036—რკინის ფეჩი—1 ადგ. 16 კილოგ. № 25179—ბარგი—1 ადგ. 21 კილოგ. № 116294—კინო-ლენტა—1 ყუთი 27 ნახევარი კილოგ. № 99295—კალენდარი—1 ადგ. 37 კილოგ. № 31911—ტვირთი—1 ადგ. 102 კილოგ. № 125407—ბარგი 1 ადგ. 16 კილოგ. № 147595—ბარგი 1 ადგ. 17 კილოგ. № 31902—მატყლი 1 ადგ. 6 კილოგ. № 180346—ბარგი 2 ადგ. 71 კილოგ. № 175445—ბარგი 1 ადგ. 20 კილოგ.

3 უდოკუმენტო ტვირთები

№ 114—ბოჭკები ცალ. ხის—9 ადგ. 120 კილოგ. № 508—ნაპოვნი ნივთები 1 ადგ. 2 ნახ. კილოგ. № 509—ნაპოვნი ნივთები 1 ადგ. 2 ნახ. კილოგ. № 510—საყავე—1 ადგ. ნახევარ კილოგ. № 144809 „ядра“ ძველი 1 ვაგ. 2970 კილ. წისქვილის ქვები 2 ადგ. 956 კილოგ. № 144810—„ядра“ ძველი 1 ვაგ. 14200 კილოგრ. № 116478 ფრენჩი ტყავის 1 ადგ. 2 კილოგ. № 80145—ფართალი—1 ადგ. 3 კილოგრ. სხვადასხვა 2 ადგ. 14 კილოგ. № 518—ტომარა ცალ. 1 ადგ. ნახ. კილ. № 519—კალათი ცალ. 1 ადგ. 1 კილოგ. № 123—ლინეიკა გატეხ. 3 ადგ. 320 კილ. № 381—ტომარა ძველი და რკინა 2 ადგ. 4 ნახ. კილოგ. № 585 ჩოხა ძველი და ფრენჩი 1 ადგ. 2 ნახ. კილოგ. № 528—ყუთები ცალიერი—2 ადგ. 23 კილოგ. № 529—ხერხი 1 ადგ. 5 კილოგ. № 530 სკამები ვენის 1 ადგ. 9 კილოგ. № 541—ბიდონი თუნუქის ცალ. 2 ადგ. 7 კილ. № 2649—სხვადასხვა 5 ადგ. 6 კილოგ. № 344—სიმინდი 4 ადგ. 25 კილოგ. № 2657—გალია ცალიერი ხის 1 ადგ. 27 კილოგ. № 2656 ბოჭკები ცალ. ხის, 4 ადგ. 192 კილოგრამი.

ნ. 1661. 1—1

დავკარგე მოწმობა ოზურგეთის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებიდან № 1453 და მიწა-ტყის კავშირის საწევრო წიგნაკი № 1476 ერმილე თავამაიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2446 1—1

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი № 1405 გიორგი დიმიტრის ძე ჩომახაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2437 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა და სარეგისტრაციო ქაღალდი ბიძინა ილარიონის ძე ყიფიანის სახელზე. ჩ. გ. 2441 1—1

დავკარგე რუსული ვინტოვკის ტარების მოწმობა გაცემული სიღნაღის ინფორპუნქტის მიერ მიხეილ ბასას ძე უსრაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2442 1—1

დავკარგე ქუთაისის 1 ცხრაწლედის დამთავრების ატესტატი № 520 სერგო ბე სარიონის ძე ჯოგლიძის სახელობაზე. ჩ. გ. 2447 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 214 და პირადობის წიგნაკი ვლადიმერი ევგენტეს ძე ჯიქიას სახელზე. ჩ. გ. 2443 1—1

საქართველოს ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც | გამგეობის პრეზიდიუმი ამით აცნობებს ქალაქ თბილისში მყოფ ყველა ავტო-მომუშავეებს და აგრეთვე სხვა კავშირების წევრებსაც, რომლებიც დაინტერესებულია საავტომობილო საქმის განვითარებით, რომ დღეს, 2 ენკენისთვეს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში (პლეხანოვის პრ. 123) შედგება

საზეიმო კრება საავტომობილო გადარბენაში მონაწილეთა თანდასწრებით.

ნ. 2450 პრეზიდიუმი.

ზუგდ. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი

ამით აცხადებს სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების, ორგანიზაციების და კერძო მოქალაქეთა საყურადღებოდ რომ ქ. ზუგდიდში გაშენებული სახლზე მოქ. გაიანე იროდის ასული ჩიქოვანისა, სადაც მოთავსებულია ხაზინა და ფ | ტ კანტორა სამაზრო აღმასკომს აქვს პრეტენზია და ამ სახლის აღმასკომის განკარგულებაში გადაცემაზე სწარმოებს საქმე და რადგანაც სახლის პატრონს ჩიქოვანს შეუძლია შეიყვანოს ვინმე შეცდომაში და გაყიდოს ან დააგირავოს ან გაასაჩუქროს ან სხვა რამე ეს სახლი.—სამაზრო აღმასკომი წინასწარ აფრთხილებს და საყოველთაოდ აცხადებს რომ ყოველგვარი ამ საქმის ირგვლივ თუ ასეთი მოხდენილ იქნება, აქტს ნასყიდობისა, დაგირავებისა ან გასაჩუქრებისა ან სხვა ძალა არ ექნება.

სამაღმასკომის თავმჯდომარე **ა. ქავთარაძე.**

ნ. 1658 1—1.

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 408291, სასურსათო ბილეთი № 004304, პირადობის მოწმობა № 13186, თედორე ზაქარიას ძე ლომიძის სახელზე. ჩ. გ. 2445 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, კავშირის საწევრო წიგნაკი, სტუდენტობის მოწმობა, სამხედრო საარიცხვო წიგნაკი საექიმო საკონტროლო კომისიისაგან მოცემული მოწმობა და აგრეთვე სამსახურის მოწმობა პეტრე ერმალოზის ძე კოშარიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2439 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი თამარ ეპიტაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2451 1—1

დავკარგე პარტიული მანდატი № 5408 დომენტი ყაველაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2446 1—1

დავკარგე სამთო-მადნო კავშირის წიგნაკი № 2958 ანტონ მგალობლიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2446 1—1

დავკარგე გორის დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 1971 ალექსანდრე ვასილის ძე ჩუბინიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2450 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი მიღებული ჩოხმათის თემაღმასკომისაგან № 166 ვალერიან ფილიპეს ძე მითაიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2450 1—1

დავკარგე საწევრო წიგნაკი საბჭოთა სავაჭრო კლუბის № 3001 მარიამ მკრტიჩიანის სახელზე. ჩ. გ. 2444 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 61 თამაკონის თემაღმასკომისაგან ალექსანდრე ცაუურიას სახელზე. ჩ. გ. 2450 1—1

დავკარგე ატესტატი დოკუმენტებით ტეხნიკოს ლევან დიმიტრის ძე ზალდასტანიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2448 1—1

დავკარგე ბავშვის საკვებ დახმარების წიგნაკი № 4 ვლადიმერ ანტონის ძე კვეკველიას სახელზე. ჩ. გ. 2450 1—1

დავკარგე საარიცხვო წიგნაკი № 48 არტემ კუტუბიძის სახელზე. ჩ. გ. 2450 (ვ) 1—1

დავკარგე სამთო-მადნო კავშირის წიგნაკი იოსებ ბურჯანაძის სახელზე. ჩ. გ. 2450 (ვ) 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა გაცემული მარტვილის თემაღმასკომის მიერ გიორგი ანტონის ძე თაფლაძის სახელზე. ჩ. გ. 2423 1—1

დავკარგე საარიცხვო ფურცელი № 202 მოცემული ჭიათურის სამხ. მაგიდისაგან ერასტი ივანეს ძე სვანიძის სახელზე. ჩ. გ. 2423 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა გიორგი დავითის ძე ამაშუკელის სახელზე. ჩ. გ. 2434 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 655 ლევან დანიელას ძე სოხაძეს სახელზე. ჩ. გ. 2435 1—1

ავადმყოფობათა მკურნალობის ორგანო-თერაპევტიული საშუალება

მთელი ქვეყნის ექიმების და ფიზიოლოგების მუდმივ კვლევა-ძიებას, რომელიც მიმართული იყო ორგანიზმის სხვადასხვა სნეულებათა წინააამდეგ ბრძოლის საშუალებათა გამონახვისაკენ—შედეგად მოჰყვა მკურნალობის ახალი მეთოდის—**ორგანოტერაპიის** აღმოჩენა.

მკურნალობის ეს საშუალება ძალიან ძველია და ცნობილი იყო უძველეს დროში. ასე, მაგალითად, იგი იცოდენ ინდუსებმა, ჩინელებმა და სხვა ხალხებმა, მაგრამ მეცნიერულ ათ იგი იყო დამუშავებული და სისწორით დაყენებული მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს. მისი შინაარსი მდგომარეობს ავადმყოფობათა მკურნალობაში სხვადასხვა ორგანოების, როგორც, მაგალითად, თირკმელზე და ჯირკვლების, ელენთის, სათესლე ჯირკვლების და სხვ. გამონაწურით.

პარიზელმა ექიმმა და მეცნიერმა Brovnsèquard-მა გამოსთქვა აზრი, რომ ორგანიზმის ყველა ჯირკვლები, როგორც სადინარებით, ისე უსადინაროთ (ე. წ. შინაგან სეკრეციის ჯირკვლები) იმუშავებენ და აწვდიან სისხლს სპეციფიურ ნივთიერებებს, რაც საჭიროა ორგანიზმის ფუნქციისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ნივთიერებანი სასურველ გავლენას ახდენენ თვით ფუნქციაზე. სხვა შემთხვევაში სპობენ და ანეიტრალებენ ორგანიზმის მიერ გამომუშავებულ სხვადასხვა შხამებს.

შინაგან სეკრეციის ჯირკვალთა ასეთი გავლენა შეამჩნია ფრანგმა მეცნიერმა და ექიმმა კაბანისმა, რომელიც სათესლე ჯირკვლების შესახებ, თავის შრომაში „Du physique et du moral de L,homme“, ამბობს: მამაკაცის სათესლე ჯირკვალი ამზადებს განსაკუთრებულ სითხეს, რომელიც გადადის სისხლში და აძლევს **მას უფრო მეტ აღმგზნებელ და მომქმედ თვისებას.** ეს გამოიხატება იმაში, რომ ამ საკითხის წარმოქმნის ხანაში, სქესობრივ მომწიფების მომენტისათვის ჭაბუკის ხმა ხდება უფრო ძლიერი, მოძრაობა მკვეთრი, ფიზიონომია უფრო მამაცი და ჩამოყალიბებული.

ყველასათვის ცნობილია იმავე დროს, რა შედეგი მოაქვს ორგანიზმისათვის სასქესო ჯირკვლების უქონლობას. გარეგნული შეხედულებითაც, ძალითაც და სხვა თავისებურებით და საჭურისებული—ადამიანები და ცხოველები—განსხვავდებიან ნორმალურ ინდივიდუმებისაგან. ამჟამად ექიმთა შორის საერთოდ მიღებულად ითვლება, რომ სათესლე ჯირკვლები გამოჰყოფენ სისხლში ნივთიერებას, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმის ფუნქციების სწორ მიმდინარეობას და სათესლე ჯირკვლების ასეთი როლის გამოვარდნა ან შესუსტება მოზრდილთა ჰასაკში იწვევს სხვადასხვა ავადმყოფობათ.

ექიმებმა და ფიზიოლოგებმა გარდა ამისა დიდი ხანია იციან, რომ ესოდენ რთულ აპარატში, როგორიცაა ცხოველის ორგანიზმი, სწარმოებს მთელი რიგი პროცესებისა, რომელთაც შედეგად მოსდევს მავნებელ ნივთიერებათა — შხამების გამომუშავება; ამ შხამების არსებობა ორგანიზმში იწვევს სხვადასხვა არანორმალურ ავადმყოფურ მდგომარეობათა განვითარებას და ამავე დროს სხვადასხვა ქსოვილებსა და ჯირკვლებში მუშავდება შხამების საწინააღმდეგო ნივთიერებანი, რომელნიც უვნებლად ხდიან ამ შხამებს. თუ ამ დამცველ ორგანოების მოქმედება ეცემა, ამას თან სდევს ავადმყოფობა.

დიდი განგაში გამოიწვია მეცნიერთა შორის პროფესორ ი. მეჩნიკოვის მიერ გამოთქმულმა თეორიამ, რომ მოხუცებულებაც წარმოადგენს ორგანიზმზე, კერძოთ სისხლის მილების კედლებზე, სხვადასხვა, ნაწლავებში გამომუშავებულ შხამების მუდმივ ზეგავლენის შედეგს.

ამგვარად, სხვადასხვა შხამების როლი, რომელნიც მუშავდებიან ორგანიზმში ავადმყოფობათა განვითარების პროცესში და ქსოვილების და ჯირკვლების როლი ამ შხამების საწინააღმდეგო ნივთიერებათა გამომუშავებაში ამჟამად შეიძლება ჩაითვალოს დამტკიცებულად და მეცნიერულად დასაბუთებულად. სათესლე ჯირკვლების მიმართ პროფესორი რეპრევი ამბობს, რომ **სასქესო ჯირკვალში იმყოფება მთელი ორგანიზმის მიმართ უდიდესი მნიშვნელობის ქიმიური აგენტი.**

რაც შეეხება სასქესო ჯირკვლებიდან გამონაწურს, ე. წ. **ბროუნ-სეკარის სითხეს,** შეიძლება ითქვას, რომ მისი გავლენა ორგანიზმზე დიდია. მთელი რიგი ცდებისა ცხოველებზე და დაკვირვებანი ადამიანებზე გვიჩვენებენ **სითხის** უსათუოდ სასურველ გავლენას სხვადასხვა, ზოგჯერ ძალიან მძიმე ავადმყოფობათა მიმდინარეობაზე. თავის ცდებში **ბროუნ-სეკარი** ღებულობდა განკურნებას ცხოველებზე ექსპერიმენტალურად ოპერაციულ გზით გამოწვეულ კიდურების სიდამბლის, ანესტეზიის, ატაქსიის დროს. **ექიმ დ. მ. უსპენსკის** ცდებმა თვალსაჩინოთ დაადასტურეს **ბროუნ-სეკარის** სითხის გამამაგრებელი გავლენა ორგანიზმზე, მისი სასურველი გავლენა ნერვიულ სისტემაზე, ჭრილობების შეხორცებაზე, წონის მომატებაზე. საინტერესოა **ექიმ ლავრინოვიჩის** ცდა პროფესორ დანილევსკის ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში **ხარკოვში;** ექ. ლავრინოვიჩი 10 წლის განმავლობაში სასქესო ჯირკვლების გამონაწურით მკურნალობდა დაბერებულ ცოცხალ-მკვდარ, უკვე ანატომიურ თეატრისათვის განმზადილ ცხენს, რის შემდეგ ეს ცხენი იმდენად გამოკეთდა და გაჯანსაღდა, რომ ანატომიურ თეატრის ნაცვლად იგი მიჰყიდეს გლეხს სამუშაოდ.

გადავდივართ რა ეხლა სასქესო ჯირკვლების გამონაწურის მოქმედებაზე ადამიანის მიმართ, უწინარეს ყოვლისა აღვნიშნავთ მის საოცარ გავლენას თვით **ბროუნ-სეკარზე და პროფესორ ფოგტზე.**

ბროუნ-სეკარი, 72 წლის მოხუცებული. მას აღარ შეეძლო მუშაობა, ლაბორატორიაში ფეხზე დგომა ნახევარი საათის განმავლობაშიაც კი. ის საშინლად იღლებოდა 3 საათის მუშაობის შემდეგ, დასჩემდა უძილობა, კუჭ-ნაწლავის და შარდის ბუშტის და, საერთოთ, მთელი ორგანიზმის სისუსტე; მან დაიწყო მკურნალობა სასქესო ჯირკვლების გამონაწურით. 7 დღის მკურნალობის შემდეგ ბროუნ-სეკარს უკვე შეეძლო მუშაობა და ფეხზე დგომა თავის ლაბორატორიაში რამდენიმე საათის განმავლობაში, რამაც ძალიან გააკვირვა მისი ასისტენტები D'Arsonval-ი და Henocq-ი. სახლში დაბრუნებისას ის თითქმის სირბილით ადიოდა კიბეზე. 25 პროცენტით გაიზარდა კუნთების ძალა; დაუბრუნდა ძილი და მადა, დაიწყო კუჭ-ნაწლავის და საშარდე ორგანოების ნორმალური მოქმედება. ერთი წლის შემდეგ ბროუნ-სეკარი ავად გახდა გრიპოზული პროცესით, რის შემდეგ მას დასჩემდა ხველა და ისეთი სისუსტე, რომ ავადმყოფი იწვა, არ შეეძლო თავის აწევა და საწოლში გადაბრუნება. რამდენიმე ხნის შემდეგ ამას ზედ დაერთო კიდევ **ნაწლავების ანთება.** დაიწყო გულის მოქმედების დასუსტება, რამდენიმე დღის განმავლობაში შეუწყვეტელი სლოკინი, გულ-მკერდ-მუცლის შუასაძგიდის, ხორხის კუნთების კრუნჩხვა და უსწორ-მასწორო სუნთქვა. მისმა მკურნალმა პროფესორებმა **ჩასთვალეს ის თითქმის უიმედოთ.** დაიწყეს სასქესო ჯირკვლების გამონაწურით ენერგიული მკურნალობა. მკურნალობის შედეგი გასაოცარი აღმოჩნდა: 2 საათის შემდეგ შესწყდა სლოკინი და კრუნჩხვა, ძალა დაუბრუნდა.

თვით **ბროუნ-სეკარი** ამის გამო ამბობს: „**მნიშვნელოვანი სისუსტე, რომელიც დასჩემდა მთელ ორგანიზმს და რომელმაც უკანასკნელ 24 საათის განმავლობაში თითქმის სრულ სიდამბლემდე მიაღწია, გაქრა სასქესო ჯირკვლების გამონაწურის გამამაგრებელი მოქმედების წყალობით.**

არა ნაკლებმა რაციონალისტმა და სკეპტიკოსმა **ფოგტმა** აგრეთვე სინჯა თავის თავზე გამონაწურის მოქმედება. ხანმოკლე მკურნალობის შემდეგ პროფესორი გარდაიქმნა: გონებრივი და ფიზიკური ძალები განახლდა, აზროვნება ნათელი გახდა, მოძრაობა მსუბუქი: დაეწყო, როგორც თვით **ფოგტი** ამბობს, შეუჩერებელი ლტოლვა გონებრივ მუშაობისადმი.

ამ დაკვირვებათა შემდეგ სასქესო ჯირკვლების სამკურნალო ძალა სწრაფათ გავრცელდა.

მისი მოქმედების შემდეგმა შესწავლამ უკანასკნელ 1 | 4 საუკუნის მანძილზე მხოლოდ დაადასტურა მისი სერიოზული თერაპევტიული მნიშვნელობა და გაიზარდა ადამიანის ორგანიზმზე მისი საოცარი მოქმედების შემთხვევათა რიცხვი.

ამ ჟამად სასქესო ჯირკვლების გამონაწური იხმარება დიდი წარმატებით ორგანიზმის სხვადასხვა ავადმყოფობათა დროს.

მოხუცებულობითი სისუსტის დროს, როდესაც სასქესო ჯირკვლები აღარ აწვდიან სისხლს ორგანიზმისათვის საჭირო პროდუქტებს, **სეკარის სასქესო სითხის მოქმედება განსაკუთრებით სასიკეთოა.**

ამ შემთხვევაში მისი მოქმედება ხშირად გასაოცარია. მოდუნების, დაღლილობის, ძალთა გამოფიტვის მოვლენები ჩქარა ქრება, ისპობა სიბერის მუდმივი თანამგზავრი სხვადასხვა ტკივილები; ორგანიზმი მაგრდება და ახალ გაზრდავდება; ძალები ბრუნდება. მცირდება ქშინვა, გულის გახშირებული ძგერა, მატულობს კუნთების ძალა და ხელახლა ბრუნდება მუშაობის უნარი. ასეული ასეთი შემთხვევები აღნიშნულია სხვადასხვა ქვეყნების ექიმების მიერ: **ვიკტოროვი, ტიკტინი, გაუზნერი,** Hammond-ი პროფეს. Loomis-ი და ბევრი სხვა.

ჯერ კიდევ **ბროუნ-სეკარმა** მიაქცია ყურადღება, რომ სასქესო ჯირკვლების გამონაწური გავლენას ახდენს სისხლის მილების **სკლეროზზე (ელასტიურობის დაკარგვა),** ეს უკანასკნელი ძლიერდება და ჩერდება. ეს მტკიცდება იქიდან, რომ სკლეროზი ხანში შესული ადამიანის სნეულებაა, იწყება ჩვეულებრივად მაშინ, როდესაც სასქესო ჯირკვლების მოქმედება უკვე მნიშვნელოვნად სუსტდება. უკანასკნელ ხანებში დაგროვდა მრავალი ცნობები, რომელიც ადასტურებს **ბროუნ-სეკარის გამონაწურის** კარგ მოქმედებას ისეთ ძნელათ საკურნავ ავადმყოფობაზე, როგორც tabes-ი, (ხერხემალის ტვინის ავადმყოფობა спинная сухотка). მძიმე, შორს წასულ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ადგილი აქვს ატაქსიას, შარდის შეუკავებლობას, სიდამბლეთა მოვლენებს, ხშირია საუცხოო შედეგები. ყველა ავადმყოფური მოვლენები ერთბაშად უმჯობესდება. ასეთი შემთხვევები ბლომად აქვს გამოქვეყნებული **პროფესორ კასტრუჩის, ექიმ როზენშტეინს,** უსპენსკის, Broinard-ს, Gibert-ს და ბევრ სხვას.

ბროუნ-სეკარის სითხის ხმარების შემდეგ ჩვენებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ სიდამბლე აპოპლექსია (мозговой удар). ამ მხრივ მიღებულია ძალიან გამახნევებელი და წარმატებითი შედეგები.

ნევრასტენიის სხვადასხვა გამოხატულების, გაღიზიანების, ადვილად დაქანცვის, მეხსიერების შესუსტების, უძილობის დროსაც ბროუნ-სეკარის ტესტიკულიარული სითხით მკურნალობა იძლევა თვალსაჩინო გაუმჯობესებას.

მამაკაცთა სქესობრივი უძლურება. ამ დროს გამონაწურით მკურნალობა იძლევა განსაკუთრებით კარგ შედეგებს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მიკროსკოპიული გამოკვლევით სპერმაში ცოცხალა (სპერმატოზოიდი) არ ყოფილა ნახული, გამონაწურით მკურნალობა იძლეოდა სრულ განკურნებას.

ვინაიდან **ბროუნ-სეკარის გამონაწურის** შეყვანა ორგანიზმში აძლიერებს საერთო ყველა მის ძალებს და მისი ქსოვილების ცხოველმოქმედებას, სავსებით გასაგებია ის სასიკეთო გავლენა, რომელსაც გამონაწური ახდენს სხვადასხვა დამაუძლურებელ ავადმყოფობათა დროს, რადგან იგი აძლიერებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს და ბრძოლას ავადმყოფობასთან.

ასეთ ავადმყოფობას ეკუთვნის, **ჭლექი, კიბო, შაქრის ავადმყოფობა, სიფილისი, სისხლნაკლებობა, მალარია, ონანიზმი.** ამავე მიზეზით ფრიად სასიკეთოა გამონაწურის მოქმედება სხვადასხვა მწვავე ავადმყოფობათაგან გამომრთელების დროს როგორიც: **ტიფი, ფილტვების ანთება, პლევრიტი, ინფლუენცა, დაჩირქებითი პროცესები.**

დღეს დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნეკრესის ქარები („პოდაგრა“) წარმოადგენს ორგანიზმში ცილების არასრული დაწვის შედეგს, ამასთანავე, ჯანმრთელ ადამიანების შარდიბანის ადვილად გამოყოფის ნაცვლად, ნეკრესის ქარებით დაავადებულთა საჭმლის ცილის დაშლა სწარმოებს არა საკმარისად—მხოლოდ შარდმჟავამდე, რომელიც თავისი ძნელად გახსნილობის წყალობით ვერ გამოიყოფა გარედ, რჩება ორგანიზმში, გროვდება სხვადასხვა ორგანოებში და იწვევს ცნობილ „პოდაგრიულ“ ტკივილებს. რადგან **ბროუნ სეკარის სითხე** აძლიერებს ქსოვილთა ცხოველმოქმედებას და ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის ენერგიას, ამით იგი ხელს უწყობს ორგანიზმში ძნელად გასახსნელ შარდმჟავას გადაყვანას ადვილად გასახსნელ და გამოსაყოფ შარდიბანში. ამ გარემოებით დასტურდება **ბროუნ-სეკარის სითხის ხმარების ჩვენება ნეკრესის ქარების** დროს.

ორგანიზმში **ბროუნ-სეკარის სითხის** შეყვანის ყველაზე ხელსაყრელ საშუალებად უნდა ჩაითვალოს შიგნივ მიღება, ვინაიდან ყველა სხვა საშუალებებს, როგორც, მაგალითად, კან-ქვეშ შეყვანას, აქვს თავისი ნაკლი. სწორედ კან-ქვეშ შეყვანის დროს შემჩნეული იყო ნაჩხვლეტის ადგილას დაჩირქებანი და სხვა.

ბროუნ-სეკარის სითხის დამზადება და გამოშვება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ნებადართული აქვს მხოლოდ კოოპერატივ

გალენ-მოსკოვის

ქიმიურ-ფარმაცევტიულ ლაბორატორიის ორგანო-თერაპევტულ განყოფილებას.

გაუფრთხილდით სიყალბეს

მოითხოვეთ უსათუოდ მწვანე ბანდეროლით და წარწერით.

კანტროლი სეკარის სითხე. **გენერალური წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიაში, თბილისი, თავისუფლების მოედანი № 2.**

იყიდება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების აფთიაქთა სამმართველოების, „სახელმწიფო საექიმო საქონლით ვაჭრობის“ („გოსმედტორგ“) და წითელი ჯვრის აფთიაქებსა და მაღაზიებში.

ფლაკონის ფასი 2 მ. და 50 კაპ.

მთავარ საწყობიდან 4 ფლაკონზე ნაკლები არ გაიცემა.

კორესპონდენციები და შეკვეთა კოოპერატივის **გალენ** წარმომადგენლობას ა.-კ.—თბილისი, თავისუფლების მოედანი № 2 განყ. 1 | 3.

თამამშევის ყოფილი პასაჟი.

ნ. 1645 0—1

ტირაჟი—20.057

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სამ წულუკიძის ქ. № 4